პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

№ 217 (5318) | ოთხშაბათი, 21 სექტემბერი 1938 წ. | ფასი 10 კაპ.

დღეს გაზეთში:

ბოლშევიკური პროპაგანდისტი („პრავდის" მოწინავე)
საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ისტორია. მოკლე კურსი. (მე-2, 3, 4 გვ.)
გაიხსნა ხალხური სიმღერისა და ცეკვის რესპუბლიკური ოლიმპიადა. (მე-4 გვ.)
უცხოეთში:
ჩეხოსლოვაკიის ხალხი მოითხოვს ინგლის-საფრანგეთის წინადადებათა უარყოფას (1-ლი გვ.)
ინგლის-საფრანგეთის მოლაპარაკების შედეგები (1-ლი გვერდი)
მუსოლინის განცხადება (1-ლი გვ.)
გერმანიის პრაღელი ელჩის თავხედური განცხადება (1-ლი გვ.)
ინგლისის კომპარტიის ყრილობაზე (1-ლი გვ.)
ერთა ლიგის საბჭოში (1-ლი გვ.)
პოლონეთის ჯარის კონცენტრაცია ჩეხოსლოვაკიის საზღვარზე (1-ლი გვ.)
უნგრეთის პროტესტი ჩეხოსლოვაკიის ღონისძიებათა წინააღმდეგ (1-ლი გვ.)
მღელვარება ჰენლაინელთა ბანაკში (1-ლი გვ.).

ბოლშევიკური პროპაგანდისტი

საკავშირო კომუნისტური პარტიის ისტორიის გამოქვეყნება მთელი ძალით აყენებს პარტიული პროპაგანდისტების მომზადების, მათი როლისა და მნიშვნელობის ამაღლების საკითხს. ჩვენს პროპაგანდისტებს დიდი და სერიოზული მუშაობა მოელით. საჭიროა წრეების მსმენელებამდე მივიტანოთ შესანიშნავი სახელმძღვანელოს თვითეული სიტყვა, გადავცეთ კომუნისტებს ლენინურ-სტალინური რევოლუციური თეორიის მთელი სიმდიდრე, ვასწავლოთ პარტიის ყველა წევრს ამ მძლავრი იდეური იარაღის სრულყოფილად დაუფლება. ესოდენ საპასუხისმგებლო ამოცანის გადაწყვეტა მნიშვნელოვნად დამოკიდებულია პარტიული ორგანიზაციების უნარზე აიყვანონ პროპაგანდისტი საჭირო სიმაღლეზე, ყოველმხრივ დაეხმარონ პროპაგანდისტულ კადრებს მათს ყოველდღიურ საქმიანობაში.

პროპაგანდისტული მუშაობა — საკ. კ. პ. (ბ) წევრისათვის საპატიო საქმეა. პარტიული განათლების ხელმძღვანელობას პარტია პოლიტიკურად მტკიცე, ყველაზე უფრო შემოწმებულ, ყველაზე უფრო მომზადებულ კომუნისტებს ანდობს. იყო ბოლშევიზმის იდეების გამავრცელებელი, პარტიული მასების აღმზრდელი—ეს უდიდესი პატივია, ეს არის პარტიის ნდობის ნიშანი, რომლითაც უნდა ვამაყობდეთ და რომელსაც ყოველნაირად უნდა ვაფასებდეთ.

ბოლშევიკური პარტიის ისტორიის ფურცლები მკაფიოდ და დამაჯერებლად მოგვითხრობენ, თუ პარტია თავისი ბრძოლის ყველა ეტაპზე როგორ უთმობდა უდიდეს ყურადღებას პროპაგანდისტულ მუშაობას, რა მნიშვნელობას აძლევდა იგი პარტიულ პროპაგანდისტს. ლენინი და სტალინი, პარტიის ყველა ცნობილი ხელმძღვანელები იყვნენ პარტიული პროპაგანდის ორგანიზატორები, ხელმძღვანელობდნენ წრეებს, პარტიულ სკოლებს, დაუღალავად ზრდიდნენ პროპაგანდისტებში მათი პასუხისმგებლობის შეგნებას. მარქსიზმ-ლენინიზმის პარტიისათვის საკითხი პროპაგანდისა, ადამიანებისა, რომლებსაც მასებში მიაქვთ რევოლუციური თეორიის სიტყვა,—პირველხარისხოვანი მნიშვნელობის საკითხია. წერილში კაპრის პარტიული სკოლის მოსწავლეებისადმი ლენინი სწერდა: „ყოველგვარ სკოლაში ყველაზე მნიშვნელოვანია ლექციების იდეურ-პოლიტიკური მიმართულება. რით განისაზღვრება ეს მიმართულება? მთლიანად და განსაკუთრებით **ლექტორთა შემადგენლობით**".

ზრუნავდნენ რა პროპაგანდის დონეზე, მის პოლიტიკურ მიმართულობასა და სიღრმეზე, ლენინი და სტალინი ხაზს უსვამდნენ ლექტორთა შემადგენლობის მნიშვნელობას, მოითხოვდნენ, რომ ეს სამუშაო ევალებოდეს მხოლოდ იმათ, ვინც პარტიის ნდობის ღირსია, მხოლოდ იმათ, ვინც დაუმახინჯებლად, ცოდნით სრულად შეიარაღებული ასწავლის პარტიულ კადრებს.

1902 წელს, უყრიდა რა საფუძვლებს ბოლშევიკურ პარტიას, ლენინი „წერილში ამხანაგს ჩვენი ორგანიზაციული ამოცანების შესახებ" სწერდა: „აქვე პროპაგანდისტების შესახებ მე კიდევ მინდოდა მეთქვა რამდენიმე სიტყვა ამ პროფესიის ჩვეულებრივად ნაკლებუნარიანი ადამიანებით **ჭარბად შევსების** წინააღმდეგ და ამით პროპაგანდის დონის დაქვეითების წინააღმდეგ. ჩვენში ზოგჯერ ყოველი სტუდენტი გაურჩევლად ითვლება პროპაგანდისტად, და მთელი ახალგაზრდობა მოითხოვს, რომ მას „მისცენ წრე" და სხვ. საჭიროა ვებრძოლოთ ამას, ვინაიდან ამას ძალიან დიდი ვნება მოაქვს. პრინციპულად ნამდვილად მტკიცე და ნიჭიერი პროპაგანდისტი **ძალიან ცოტაა** (და ასეთი რომ გახდე, საჭიროა ბევრი სწავლა და გამოცდილების შეძენა). და საჭიროა ასეთი ადამიანების სპეციალიზაცია, მათი მთლიანად ჩაბმა საქმეში და დიდად გაფრთხილება".

ლენინის ეს სიტყვები გვიხატავენ იმ მომთხოვნელობას, რომლითაც ეკიდებოდა და ეკიდება პარტია პროპაგანდისტულ მუშაობას. ჩვენ ამჟამად ათიათასობით გვყავს პრინციპულად ნამდვილად მტკიცე და ნიჭიერი პროპაგანდისტი, რომლებსაც უნდა ვუფრთხილდებოდეთ და ვანვითარებდეთ, ჩვენში განუწყვეტელია ახალგაზრდა ნიჭიერი პროპაგანდისტული ძალების დაწინაურების პროცესი. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ჩვენ შეგვეძლოს თუნდაც რამდენადმე შევამციროთ პროპაგანდისტებისადმი წაყენებული მოთხოვნები. პირიქით, ეს მოთხოვნები იზრდება, **ისინი განსაკუთრებით გაიზარდნენ დღეს, როდესაც საჭიროა კომუნისტების შეიარაღება საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის ღრმა ცოდნით.**

ბოლშევიკურ პროპაგანდისტს უწინარეს ყოვლისა ახასიათებს ლენინ-სტალინის საქმისადმი უსაზღვრო ერთგულება, ბოლშევიკური პრინციპულობა, მტრებისადმი შეურიგებლობა და დაუნდობლობა. პარტიული პროპაგანდისტი—ეს არ არის მშრალი მწიგნობარი, არ არის უსიცოცხლო მთხრობელი, არამედ ეს არის პარტიის მებრძოლი, რომელიც თავის მსმენელებში ზრდის ბოლშევიკურ სიმტკიცეს, რევოლუციურ მგზნებარებას, მტრების გამოაშკარავებისა და განადგურების უნარს, რომელიც კომუნისტებს ხელში აძლევს ბოლშევიზმის ბასრ იდეურ იარაღს. პარტიულ პროპაგანდისტს უნდა შესწევდეს სულ ოდნავი პოლიტიკური სიყალბის, პოლიტიკური სიდამპლის სულ ოდნავი გამოვლინების შემჩნევის უნარი, იგი არის პარტიის ინტერესების ფხიზელი, დაუღალავი გუშაგი.

ბოლშევიკურ პროპაგანდისტს ახასიათებს დაუღალავი მუშაობა საკუთარ თავზე, მარქსისტულ-ლენინური თეორიის ცოდნის განუწყვეტელი გაუმჯობესება, მისწრაფება ჩასწვდეს მარქსიზმ-ლენინიზმის სულს. „მარქსისტულ-ლენინური თეორიის დაუფლება სრულებითაც არ ნიშნავს მისი ყველა ფორმულებისა და დასკვნების შესწავლას და ამ ფორმულებისა და დასკვნების თვითეული ასოს ჩაბღაუჭებას. მარქსისტულ-ლენინურ თეორიას რომ დავეუფლოთ, საჭიროა, უწინარეს ყოვლისა, ვისწავლოთ განსხვავება მის ასოსა და არსს შორის.

დაეუფლო მარქსისტულ-ლენინურ თეორიას—ნიშნავს დაეუფლო ამ თეორიის არსს და ისწავლო ამ თეორიით სარგებლობა რევოლუციური მოძრაობის პრაქტიკულ საკითხთა გადაჭრის დროს პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის სხვადასხვა პირობებში" (საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსი).

თავის მსმენელებს პროპაგანდისტმა უნდა მიაწოდოს არა ცალკეული დასკვნები, არა დოგმატები, ვინაიდან მარქსისტულ-ლენინური თეორია არ შეიძლება განხილულ იქნას, როგორც დოგმატების კრებული, როგორც კატეხიზმო, როგორც სიმბოლო სარწმუნოებისა, მან უნდა გახსნას მეცნიერების არსი და მოგვცეს ღრმა ცოდნა.

განა ცხადი არ არის, რომ ყოველივე ამის მიღწევა შეიძლება მხოლოდ ჩვენი პროპაგანდისტული კადრების სისტემატური სერიოზული სწავლების პირობით!

ეს პირობა მით უფრო სავალდებულოა, რომ პროპაგანდისტთა შორის ჯერ კიდევ არიან ადამიანები, რომლებიც მეტად უდარდელად ეკიდებიან საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მომავალ შესწავლას. არიან ადამიანები, რომლებმაც ჩასთვალეს, რომ ახალი სახელმძღვანელოს გამოსვლა ამცირებს პროპაგანდისტის პასუხისმგებლობას, რადგან მსმენელებს ხელთ ექნებათ წიგნი და პროპაგანდისტს არ მოუხდება ბევრი დროის ხარჯვა საკითხების განმარტებაზე. აი ასეთ უვიცებთან უნდა ვაწარმოოთ გადამწყვეტი ბრძოლა, კარგად გავუწმინდოთ მათ ტვინი და ავუხსნათ სახელმძღვანელოს ნამდვილი მნიშვნელობა. **პარტიულმა ორგანიზაციებმა უნდა მიაღწიონ ისეთ მდგომარეობას, რომ პროპაგანდისტის მოუმზადებლად მისვლა წრის მეცადინეობაზე არაჩვეულებრივი მოვლენა იყოს, რომ ასეთი სამარცხვინო ფაქტების შესახებ იცოდეს მთელმა პარტიულმა ორგანიზაციამ.**

დროა განვთავისუფლდეთ იმ თავხედებისაგან, რომლებიც აქა-იქ ჯერ კიდევ იღვწიან პროპაგანდისტულ სამუშაოზე, რომლებსაც არ სურთ ისწავლონ, რომლებიც თავს ყველაფრის მცოდნეებად სთვლიან, საქმით კი უვიცი მოლაყბენი არიან.

ბოლოს, ბოლშევიკურ პროპაგანდისტს ახასიათებს თავისი მსმენელებისათვის ცოდნის უაღრესად მკაფიო, გასაგები ფორმით გადაცემის უნარი. „ყოველი პროპაგანდისტისა და ყოველი აგიტატორის ხელოვნება სწორედ იმაში მდგომარეობს,—ამბობდა ლენინი,—რომ რაც შეიძლება უკეთესად მოახდინოს გავლენა მოცემულ აუდიტორიაზე, ცნობილი ჭეშმარიტება გახადოს მისთვის რაც შეიძლება უფრო დამაჯერებელი, რაც შეიძლება უფრო ადვილად შესათვისებელი, რაც შეიძლება უფრო თვალსაჩინოდ და მტკიცედ დასახსომებელი". საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის კურსი დაწერილია გასაოცარი ენით: ნათლად, ძლიერად, უაღრესად მკაფიოდ. საჭიროა, რომ პარტიის ისტორიის სწავლების ფორმაც სახელმძღვანელოს დონეზე იდგეს. პროპაგანდისტისაგან ბევრად არის დამოკიდებული, რომ მეცადინეობა არ გახადოს მშრალი, არამედ გახადოს იგი ფორმით საინტერესო, მკაფიო, დაიხმაროს თვალსაჩინო ხელსაწყოები, მოაწყოს ექსკურსიები მუზეუმებში, გამოფენებზე და სხვ.

ხელმძღვანელმა პარტიულმა ორგანოებმა ყველაზე სერიოზული ყურადღება უნდა დაუთმონ პროპაგანდისტების შერჩევას საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის შემსწავლელი წრეებისა და სკოლების ხელმძღვანელობისათვის. უნდა მივაღწიოთ იმას, რომ წრეებს ხელმძღვანელობდნენ საუკეთესო, შემოწმებული ბოლშევიკები, რომლებსაც შესწევთ უნარი ნამდვილი დახმარება აღმოუჩინონ კომუნისტებს მარქსისტულ-ლენინური თეორიის დაუფლებაში.

პარტიული ორგანიზაციების, მათი ხელმძღვანელების წმინდათაწმინდა მოვალეობაა იზრუნონ წრეების მუშაობის შინაარსზე, მეცადინეობათა ხარისხზე, პროპაგანდის მაღალ დონეზე. ეს ამოცანა მნიშვნელოვნად შემსუბუქდება, თუ ხელმძღვანელი პარტიული მუშაკები თავის ხელში აიღებენ პროპაგანდის ორგანიზაციისა და ხელმძღვანელობის საქმეს და თვითონ გახდებიან პროპაგანდისტები. ამ პირობით საკ. კ. პ. (ბ) ისტორია გახდება ჩვენი პარტიული კადრების თეორიული სისუსტის ლიკვიდაციის ბაზა, ახალი პროპაგანდისტული ძალების ზრდისა და დაწინაურების ბაზა.

„პრავდის" მოწინავე, 20/IX.

ერთა ლიგის საბჭოში

ჟენევა, 19 სექტემბერი (საკდესი). ერთა ლიგის საბჭოს დღევანდელ სხდომაზე ველინგტონ კუმ (ჩინეთი) მოითხოვა წესდების მე-17 მუხლის დაუყოვნებლივ გამოყენება. გაიმეორა რა მის მიერ ლიგის პლენუმზე წარმოთქმული სიტყვის ძირითადი თეზისები, ველინგტონ კუმ დაჟინებით მოითხოვა, რომ დაუყოვნებლივ ყოფილიყო განხილული ჩინეთის მოთხოვნანი ჩინეთისათვის საფინანსო დახმარების აღმოჩენისა და იაპონიაში იარაღისა და ნედლეულის შეზიდვის აკრძალვის შესახებ.

თავმჯდომარის წინადადებით საბჭომ დაადგინა: ლიგის წესდების მე-17 მუხლის შესაბამისად, იაპონიის მთავრობას ტელეგრაფით გაეგზავნოს მოწვევა, რათა გამოგზავნოს წარმომადგენელი ჩინეთის აპელაციის განსახილველად იმავე უფლებებით, რაც ლიგის წევრებს აქვთ. სათანადო დეპეშა უკვე გაგზავნილია ტოკიოში.

* * *

ერთა ლიგის წესდების მე-17 მუხლი შემდეგ წესს ითვალისწინებს: თუ კონფლიქტი მოხდა ორ სახელმწიფოს შორის, რომელთაგან ერთი ლიგის წევრია (ამ შემთხვევაში—ჩინეთი), მეორე სახელმწიფოს, რომელიც ლიგაში არ შედის (ამ შემთხვევაში—იაპონიას), მოუწოდებენ დაემორჩილოს იმ ვალდებულებებს, რომელნიც ლიგის წევრებს აკისრიათ. ამ მიზნით ლიგის არაწევრ სახელმწიფოს ეგზავნება მოწვევა.

ხოლო თუ მოწვეული სახელმწიფო უარს განაცხადებს მიიღოს თავის თავზე ლიგის წევრის ვალდებულებანი და კონფლიქტის მოგვარების მიზნით ომს მიმართავს ლიგის წევრის წინააღმდეგ, მაშინ მის მიმართ გამოყენებულ იქნება მე-16 მუხლი, რომელიც სანქციებს ითვალისწინებს აგრესორის წინააღმდეგ.

ჩეხოსლოვაკიის ხალხი მოითხოვს ინგლის-საფრანგეთის წინადადებათა უარყოფას

პრაღა, 19 სექტემბერი (საკდესი). დღეს, ნაშუადღევის 4 საათზე, ინგლისის ელჩმა ნიუტონმა და საფრანგეთისამ დე ლაკრუამ გადასცეს პრეზიდენტ ბენეშს ინგლის-საფრანგეთის წინადადებანი. მთელ დღეს სხდომა ჰქონდა ჩეხოსლოვაკიის მინისტრთა კაბინეტს პრეზიდენტის თავმჯდომარეობით. რა გადაწყვეტილება გამოიტანა მთავრობამ, ჯერ კიდევ ცნობილი არ არის. დღითი რადიოთი გადაცემულ იქნა ახალი მიმართვა მოსახლეობისადმი, რომელშიაც, სხვათა შორის, ნათქვამია: „საფრანგეთისა და ინგლისის მინისტრთა ლონდონის თათბირი მხოლოდ ეტაპია თანამედროვე ევროპის კრიზისის დრამატიულ განვითარებაში და ჯერ კიდევ არ ნიშნავს უკანასკნელ სიტყვას".

ყველა გაზეთი სასტიკად ჰგმობს ინგლისისა და საფრანგეთის პოზიციას და ურჩევს მთავრობას მტკიცე გეზი აიღოს და უარჰყოს ლონდონისა და პარიზის „რჩევა". გაზეთი „ტელეგრაფი" სწერს: „მხოლოდ ორი ფაქტორი — ხელშეუხებლობა ტერიტორიისა, რომელიც ერთიან სამეურნეო მთელს წარმოადგენს, და განმტკიცება საზღვრისა, რომელსაც არმია იცავს, — არის ჩვენი რესპუბლიკის არსებობის ნამდვილი გარანტია. ავსტრიასაც ჰქონდა აგრეთვე დიდ სახელმწიფოთა საერთაშორისო გარანტიები. ავსტრია — ბოროტის მომასწავებელი მაგალითია, რომელიც მოგვიწოდებს ჩვენ გამბედაობისაკენ მთელი ძალღონითა და საშუალებებით დავიცვათ ჩვენი სიცოცხლე, ჩვენი სახელმწიფო და ჩვენი ხალხის საარსებო ინტერესები".

ახლა დაიწყო ყველა კოალიციური პარტიის ხელმძღვანელ ორგანოთა გაერთიანებული სხდომა პრემიერ-მინისტრ გოჯას თანდასწრებით.

მუსოლინის განცხადება

პარიზი, 19 სექტემბერი (საკდესი). საფრანგეთის გაზეთები გადმოგვცემენ ცნობას მუსოლინის სიტყვის შესახებ, რომელიც მან გუშინ წარმოსთქვა ტრიესტში. თავის სიტყვაში მუსოლინი აშკარად უჭერდა მხარს გერმანიის აგრესიულ მოთხოვნებს, რომლებიც მიმართულია ჩეხოსლოვაკიის წინააღმდეგ, და პირდაპირ განაცხადა, რომ თუ ჩეხოსლოვაკიის საკითხთან დაკავშირებით მოხდება ომი, „იტალიის ადგილი ამ ომში უკვე გარკვეულია".

გერმანიის პრაღელი ელჩის თავხედური განცხადება

ლონდონი, 19 სექტემბერი (საკდესი). რეიტერის სააგენტოს ცნობით, ჩეხოსლოვაკიის ლონდონელმა ელჩმა ინგლისის მთავრობას გააცნო გერმანიის პრაღელი ელჩის ოფიციალური განცხადების შინაარსი და ჩეხოსლოვაკიის მთავრობის მიერ გაცემული პასუხი.

გერმანიის პრაღელი ელჩის განცხადება, აღნიშნავს სააგენტო, შემდეგში მდგომარეობს: „გერმანიის ტერიტორიაზე დაპატიმრებული იქნება იმდენივე ჩეხოსლოვაკელი ან ებრაელი, რამდენი ჰენლაინელიც დაპატიმრებული იყო ჩეხოსლოვაკიაში წარსულ კვირაში. თუ საგანგებო წესების კანონის თანახმად სასიკვდილო განაჩენს გამოუტანენ რამდენიმე ჰენლაინელს, მაშინ ამასვე ჩაიდენენ გერმანიაში მცხოვრებ იმდენივე ჩეხოსლოვაკ მოქალაქეთა მიმართ".

ჩეხოსლოვაკიის მთავრობამ ამ მუქარის საპასუხოდ გამოაქვეყნა სპეციალური განცხადება, რომელშიც აღნიშნულია, რომ არცერთი „სუდეტელი გერმანელის" მიმართ არ ყოფილა გამოტანილი სასიკვდილო განაჩენი და მხოლოდ ერთი პირი იყო მიცემული სამართალში საგანგებო წესების კანონის შესაბამისად.

მაგრამ, ნათქვამია შემდეგ ამ განცხადებაში, ჩვეულებრივი კანონის ძალით პასუხისგებაში იქნა მიცემული რამდენიმე ჰენლაინელი იმის გამო, რომ მათ წააქეზეს მოსახლეობა ამბოხებისათვის.

ხალხური სიმღერისა და ცეკვის სრულიად - საქართველოს ოლიმპიადის მონაწილენი

სურათზე: წითელწყაროს რაიონის ზემო მაჩხაანის სტალინისა და ბერიას სახელობის კოლმეურნეობების მომღერალთა გუნდი (ხელმძღვანელი—ლ. მაძღარაშვილი), ხულოს რაიონის (აჭარა) სოფელ დეკანაშვილების კარლ მარქსის სახელობის კოლმეურნეობის მეჩონგურე ქალთა გუნდი (ხელმძღვანელი მ. შარაშიძე), თბილისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის გურულ მომღერალთა გუნდი ხელმძღვანელი—კ. კუნჭულია).

ფოტო-მონტაჟი ი. იმედაძისა.

ინგლისის კომპარტიის ყრილობაზე

ლონდონი, 19 სექტემბერი (საკდესი). ინგლისის კომპარტიის მე-15 ყრილობაზე, რომელიც ამჟამად მიმდინარეობს, პირველი გამოვიდა ინგლისის პარლამენტის წევრი გალაჰერი. გალაჰერმა დაჰგმო ჩემბერლენის პოლიტიკა, კერძოდ, გერმანიაში მისი გამგზავრება და განაცხადა, ასეთი მოქმედება მშვიდობიანობის დაცვის წინააღმდეგ არის მიმართული. გალაჰერმა შემდეგ, გამოსთქვა რა აზრი ინგლისის პარლამენტის დაუყოვნებლივ მოწვევისათვის, შეიტანა წინადადება, ინგლისის მუშებისა და სხვა დემოკრატიული ორგანიზაციების სრულიად - ნაციონალური კონფერენციის მოწვევის შესახებ მთავრობის პოლიტიკის განსახილველად.

საანგარიშო მოხსენებით გამოვიდა ინგლისის კომპარტიის გენერალური მდივანი გარი პოლიტი. პოლიტმა აღნიშნა, რომ ეკონომიური კრიზისი ინგლისში თანდათან იზრდება და განაცხადა, რომ ამჟამად ინგლისის სულ მცირე 10 მილიონი მცხოვრები განსაკუთრებით მძიმე მატერიალურ პირობებში იმყოფება.

ამავე დროს ჩემბერლენის მთავრობა ატარებს რეაქციულ ზომებს, რაც კიდევ უფრო აუარესებს ინგლისის მუშათა კლასის ეკონომიურ მდგომარეობას და იმავდროულად ზიანს აყენებს მის პოლიტიკურ უფლებებს.

პოლიტმა განაცხადა, ინგლისის კომუნისტური პარტია მზად არის შეუერთდეს ლეიბორისტთა პარტიას, რათა წარმატებით იბრძოლოს ინგლისის მშრომელთა ინტერესებისათვის. ამავე დროს პოლიტი ამხილებდა ლეიბორისტთა პარტიის მარჯვენა ფრთის გამცემლურ როლს.

შემდეგ პოლიტმა დაახასიათა ტროცკისტების გამცემლური როლი, როგორც ფაშისტთა აგენტურისა, და ხაზი გაუსვა იმას, რომ ინგლისის კომუნისტურმა პარტიამ მტკიცედ უნდა დაიცვას თავისი რიგები ტროცკისტ გამცემლების შემოჭრისაგან.

18 სექტემბერს დილის სხდომაზე ყრილობამ ერთხმად მიიღო მისალმება საკავშირო კომუნისტური (ბოლშევიკების) პარტიისადმი.

შემდეგ ყრილობამ მიიღო რეზოლუცია ესპანეთის საკითხზე. რეზოლუციაში ნათქვამია, რომ აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს, რათა ინგლისის მთავრობას მოეთხოვოს ჯერ ერთი, ესპანეთის მთავრობისადმი სრული უფლების მინიჭება ინგლისში იარაღისა და სამხედრო საჭურველის თავისუფლად შესყიდვაზე და, მეორე, უარის თქმა „ჩაურევლობის" დანაშაულებრივ პოლიტიკაზე.

ყრილობამ მოუწოდა ინგლისის მშრომელთა მასას — ყოველმხრივი დახმარება აღმოუჩინონ ჩინეთისა და ჩეხოსლოვაკიის ხალხს.

ინგლის-საფრანგეთის მოლაპარაკების შედეგები

პარიზი, 19 სექტემბერი (საკდესი). გუშინ ღამით გამოქვეყნებული ოფიციალური კომუნიკე დალადიესა და ბონეს მიერ ჩემბერლენთან და ინგლისის კაბინეტის სხვა წევრებთან გამართული თათბირის შედეგების შესახებ კმაყოფილდება მხოლოდ მითითებებით საფრანგეთისა და ინგლისის სამინისტროებს შორის ჩეხოსლოვაკიის საკითხში მიღწეულ შეთანხმებაზე და განზე სტოვებს ამ შეთანხმების დედაარსს.

საფრანგეთის ოფიციალურ წრეებთან დაახლოვებული პირები აღნიშნავენ, რომ საფრანგეთის მინისტრები დაეთანხმნენ ინგლისის დებულებას ჰიტლერის მოთხოვნათა დაკმაყოფილებაზე სუდეტის ოლქის გერმანიასთან შეერთების შესახებ.

ისინი დათანხმდნენ აგრეთვე ჩეხოსლოვაკიის „ნეიტრალიზაციის" პროექტზე. ამის სამაგიეროდ საფრანგეთის მინისტრებმა თითქოს მოითხოვეს, რომ ინგლისმა იკისროს ჩეხოსლოვაკიის მომავალი საზღვრების მტკიცე გარანტია. აღნიშნავენ, რომ საფრანგეთის მინისტრებმა თითქოს დასძლიეს ინგლისელთა შეუპოვრობა ამ პუნქტში.

ჰავასის ლონდონელი კორესპონდენტი შემდეგნაირად ახასიათებს საფრანგეთ-ინგლისის გუშინდელი მოლაპარაკების მსვლელობას, „ინგლისის პრემიერმა დამსწრეთ გააცნო ჰიტლერის განზრახვები. ალბათ ინგლისის მინისტრებმა განაცხადეს, რომ მათ საჭიროდ მიაჩნიათ დაეთანხმონ ჰიტლერს გერმანიასთან სუდეტის ოლქის იმ რაიონთა შეერთების იმ საკითხში, სადაც გერმანელი მოსახლეობა უმეტესობას შეადგენს. ჩეხოსლოვაკიის საზღვრების ეს ცვლილება უნდა განხორციელდეს საერთაშორისო კომისიის კონტროლით ისე, რომ არ მიმართონ პლებისციტის პროცედურას.

დალადიემ და ბონემ ამ წინადადებათა პასუხად მიუთითეს თავიანთ ინგლისელ კოლეგებს, რომ უსამართლობა იქნებოდა ასეთი მსხვერპლი მოეთხოვნათ ჩეხოსლოვაკიისაგან ისე, რომ კომპენსაცია არ მიეცათ მისთვის ისეთი ბუნებრივი საზღვრების დაკარგვისათვის როგორსაც სუდეტის მთები წარმოადგენენ.

შემდეგ კორესპონდენტი ქება-დიდებით იხსენიებს საფრანგეთის მთავრობის მეთაურისა და საგარეო საქმეთა მინისტრის „შეუპოვრობას", რომლებმაც შესძლეს და ინგლისის პრემიერ მინისტრისაგან მიიღეს იმის დასტური, რათა უკანასკნელმა იკისროს „დააჯეროს თავისი კოლეგები" ინგლისის მთავრობაში, რომ საჭიროა საერთაშორისო გარანტია ჩეხოსლოვაკიის ახალი საზღვრებისათვის. მათ მიაღწიეს ამას, ამბობს კორესპონდენტი, მიუხედავად იმისა, რომ ინგლისის ოფიციალური წრეები ტრადიციული ზიზღით ეპყრობიან ინგლისის ყოველგვარ ვალდებულებას ევროპის კონტინენტის მიმართ.

ამნაირად, განაგრძობს კორესპონდენტი, ჩეხოსლოვაკიის დამოუკიდებლობა ამიერიდან შეიძლება გარანტირებულ იქნას ჩეხოსლოვაკიის მეზობელი სახელმწიფოების (გერმანიის, პოლონეთის, უნგრეთისა და რუმინეთის) და აგრეთვე ინგლისის, საფრანგეთისა და იტალიის მიერ ხელმოწერილი ლოკარნოს ხელშეკრულების მსგავსი კონვენციით. **ჩეხოსლოვაკიამ უარი უნდა განაცხადოს ხელშეკრულებებზე საფრანგეთთან და საბჭოთა კავშირთან.**

ჩეხოსლოვაკიის მთავრობას ოფიციალურად აცნობებენ ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობის შეხედულებებს და სთხოვენ აცნობოს თავისი შენიშვნები ამ საკითხზე.

ჩემბერლენი ჰფიქრობს შემდგომ სამშაბათს და სულ უგვიანეს ოთხშაბათს მაინც გაემგზავროს გოდესბერგში ჰიტლერთან ახალი შეხვედრისათვის.

ლუსიენ ბურჟესი, რომელიც ლონდონში იმყოფება, „პტი პარიზენში" იუწყება, რომ დალადიემ და ბონემ უარი სთქვეს იმაზე, რომ რაიმე დაუმატონ ოფიციალურ კომუნიკეს ინგლის-საფრანგეთის გუშინდელ მოლაპარაკებათა მიმდინარეობის შესახებ. „სრული თანხმობა, რომლის შესახებაც ლაპარაკია ოფიციალურ კომუნიკეში,—შენიშნავს ბურჟესი, — ალბათ იმას ნიშნავს, რომ ჩემბერლენის მიერ შთაგონებული გადაწყვეტილება მიღებულ იქნა. ამ გადაწყვეტილებას მეტად საიდუმლოდ ინახავენ, ჯერ ერთი, იმიტომ, რომ არავინ იცის, დაეთანხმება თუ არა მას პრაღა, ხოლო, მეორე, იმიტომ, რომ ჩემბერლენს სურს პირველმა აცნობოს ეს გადაწყვეტილება ჰიტლერს მომავალი შეხვედრის დროს".

„ტანის" ლონდონელი კორესპონდენტის სიტყვით, „ჩეხოსლოვაკიის მთავრობის თვალსაზრისი ნათლად იყო აღნიშნული ინგლისის კაბინეტის დილის სხდომაზე ლორდ რენსიმენის მიერ, რომელიც მიწვეული იყო მოხსენება გაეკეთებინა მთავრობისათვის ამ საკითხზე. ლორდმა რენსიმენმა, რომელსაც ლაპარაკი ჰქონდა პრეზიდენტ ბენეშთან პრაღიდან ლონდონს წასვლის წინა დღით, განაცხადა, რომ ბენეშს პლებისციტი მიუღებლად მიაჩნია და რომ ჩეხოსლოვაკიის მთავრობა არ დაეთანხმება ჩეხოსლოვაკიის ტერიტორიაზე უცხოეთის არმიის შეყვანას რაიმე კონტროლისათვის. შემდეგ ბენეშმა განაცხადა, რომ ჩეხოსლოვაკია ყოველ შემთხვევაში წინააღმდეგობას გაუწევს, თუ გერმანია მას თავს დაესხმის".

პოლონეთის ჯარის კონცენტრაცია ჩეხოსლოვაკიის საზღვარზე

ვარშავა, 19 სექტემბერი (საკდესი). დღეს საღამოს ვარშავაში გამოვიდა მთავრობის გაზეთების სასწრაფო გამოცემა, რომელიც ოფიციალურად იუწყება ჩეხოსლოვაკიის საზღვრებთან პოლონეთის ჯარის კონცენტრაციის შესახებ.

პოლონეთის მთავრობა ცდილობს გაამართლოს ეს ღონისძიებანი სხვადასხვა პროვოკაციული ჭორებით.

პოლონეთის მთავრობის მიერ სასწრაფოდ შექმნილია ეგრეთწოდებული „ჩეხოსლოვაკიაში პოლონელთა უფლებებისათვის ბრძოლის კომიტეტი", რომელმაც ანტიჩეხოსლოვაკური მიტინგი მოაწყო გოტავიცაში. მიტინგის რეზოლუცია, რომელიც რადიოთი გადაცემული იქნა მთელს პოლონეთში, მოუწოდებს პოლონეთის მთავრობას ყოველგვარი ზომები მიიღოს ტეშინის (ჩეხოსლოვაკიის) სილეზიის პოლონეთთან დაუყოვნებლივ შესაერთებლად.

უნგრეთის პროტესტი ჩეხოსლოვაკიის ღონისძიებათა წინააღმდეგ

პრაღა, 18 სექტემბერი (საკდესი). უნგრეთის პრაღელმა ელჩმა გუშინ ინახულა საგარეო საქმეთა მინისტრი კროფტა და საპროტესტო ნოტა გადასცა მას იმ გამაფრთხილებელი ზომების წინააღმდეგ, რომლებსაც იღებს ჩეხოსლოვაკია თავის საზღვარზე უნგრეთთან.

კროფტამ ელჩს უპასუხა, რომ იმ ღონისძიებებს, რომლებიც უნგრეთის საზღვარზე ტარდება, ჩვეულებრივი და ნორმალური ხასიათი აქვთ და არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება განხილულ იყოს როგორც უნგრეთის წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებანი.

მღელვარება ჰენლაინელთა ბანაკში

პრაღა, 18 სექტემბერი (საკდესი). ჰენლაინელთა პუტჩის ჩაქრობასთან დაკავშირებით, ყოფილ დამოუკიდებელ გერმანელ პარტიათა (ქრისტიანულ - სოციალური, აგრარული) რიგებში, რომლებიც ახლახან შეუერთდნენ ჰენლაინელთა ბანაკს, დიდი მღელვარებაა. ცალკე პარტიების ლიდერები ცდილობენ აღადგინონ თავიანთი ორგანიზაციები. ხვალ შესდგება სხდომა ქრისტიანულ - სოციალური პარტიის ყოფილი ცენტრალური კომიტეტისა, რომლის წევრთა უმრავლესობაც თავის დროს არ გადავიდა ჰენლაინელთა ბანაკში.

დღეს გამოქვეყნებულია გერმანული დემოკრატიული პარტიების მოწოდება, რომელშიც ლაპარაკია იმაზე, რომ საჭიროა მშვიდობიანობისა და დემოკრატიის დაცვისათვის ერთიანი ფრონტის შექმნა.

21 სექტემბერს, საღამოს 9 საათზე, „კომუნისტის" რედაქციაში (რუსთაველის პროსპ. № 16) მოწვეულია

პარტიული აქტივის თათბირი

გაზეთში პარტიული ცხოვრების გაშუქების შესახებ საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის დადგენილების შესრულების მიმდინარეობის საკითხებზე.

თათბირზე მოწვეული არიან საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის რაიკომების მდივნები, კულტპროპგანყოფილებათა გამგეები, რაიკომების ინსტრუქტორები, პარტკაბინეტების გამგეები და მსხვილ საწარმო-დაწესებულებათა პარტკომების მდივნები და პარტორგები.

საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ისტორია

საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის კომისიის რედაქციით. **მოკლე კურსი.** მოწონებულია საკ. კ. პ.(ბ) ც. კ-ის მიერ. 1938 წელი.

თავი V

ბოლშევიკების პარტია მუშათა მოძრაობის აღმავლობის წლებში პირველი იმპერიალისტური ომის წინ.

(1912—1914 წლები)

1. რევოლუციური მოძრაობის აღმავლობა 1912-1914 წლებში.

სტოლიპინის რეაქციის გამარჯვება ხანმოკლე გამოდგა. არ შეიძლებოდა მტკიცე ყოფილიყო მთავრობა, რომელსაც ხალხისათვის არაფრის მიცემა არ უნდოდა, გარდა მათრახისა და სახრჩობელებისა. რეპრესიები ისე ჩვეულებრივი გახდნენ, რომ ისინი აღარ აშინებდნენ ხალხს. უკვე ჰქრებოდა მუშების დაღლილობა, რაც რევოლუციის დამარცხების პირველ წლებში შესამჩნევი იყო. მუშები კვლავ ფეხზე დგებოდნენ საბრძოლველად. ბოლშევიკების მიერ ახალი რევოლუციური აღმავლობის გარდუვალობის წინათგანჭვრეტა სწორი გამოდგა. უკვე 1911 წელს გაფიცულთა რაოდენობა 100 ათასს აღემატებოდა, მაშინ როცა წინა წლებში იგი სულ 50-60 ათას კაცს შეადგენდა. ჯერ კიდევ პრაღის 1912 წლის იანვრის პარტიულმა კონფერენციამ აღნიშნა დაწყებული გამოცოცხლება მუშათა მოძრაობაში. მაგრამ რევოლუციური მოძრაობის ნამდვილი აღმავლობა იწყება 1912 წლის აპრილ-მაისში, როცა ლენის მუშების დახვრეტასთან დაკავშირებით მასობრივმა პოლიტიკურმა გაფიცვებმა იფეთქეს.

1912 წლის 4 აპრილს ლენის ოქროს სარეწაოებზე, ციმბირში, გაფიცვის დროს მეფის ჟანდარმთა ოფიცრის ბრძანებით მოკლულ და დაჭრილ იქნა 500-ზე მეტი მუშა. ლენის მაღაროელთა უიარაღო მასის დახვრეტამ, რომლებიც მშვიდობიანად მიდიოდნენ, რომ ადმინისტრაციას მოლაპარაკებოდნენ, მთელი ქვეყანა ააღელვა. მეფის თვითმპყრობელობის ეს ახალი სისხლიანი ბოროტმოქმედება ჩადენილ იქნა ლენის ოქროს სარეწაოთა პატრონების — ინგლისელი კაპიტალისტების სამებლად, რათა დაეძლიათ მაღაროელთა ეკონომიური გაფიცვა. ინგლისელი კაპიტალისტები და მათი რუსი კომპანიონები ლენის სარეწაოებიდან ღებულობდნენ უდიდეს მოგებას — ყოველწლიურად 7 მილიონ მანეთზე მეტს — მუშების ყოვლად უსირცხვილო ექსპლუატაციის ხარჯზე. ისინი მუშებს სრულიად უმნიშვნელო ხელფასს აძლევდნენ, მათ უვარგისი, დამპალი პროდუქტებით ჰკვებავდნენ. ვერ გაუძლო რა დევნასა და აბუჩად აგდებას, ლენის სარეწაოთა 6 ათასმა მუშამ გაფიცვა გამოაცხადა.

ლენის მუშების დახვრეტაზე პროლეტარიატმა უპასუხა მასობრივი გაფიცვებით, დემონსტრაციებითა და მიტინგებით პეტერბურგში, მოსკოვში, ყველა სამრეწველო ცენტრსა და რაიონში.

„ჩვენ ისე თავზარდაცემულნი და შეძრწუნებულნი ვიყავით, რომ ერთბაშად შესაფერ სიტყვას ვერ ვპოულობდით. რა პროტესტიც უნდა განგვეცხადებინა, ეს სუსტი აჩრდილი იყო იმ სულიერი მღელვარებისა, რომელსაც თვითეული ჩვენგანი განიცდიდა. ჩვენ ვერაფერი გვიშველის: ვერც ცრემლები, ვერც პროტესტები, გვიშველის მხოლოდ ორგანიზებული მასობრივი ბრძოლა",—ასე სწერდნენ საწარმოთა ერთი ჯგუფის მუშები თავის რეზოლუციაში.

მუშების სასტიკი აღშფოთება კიდევ უფრო გაძლიერდა, როცა მეფის მინისტრმა მაკაროვმა ლენის მუშების დახვრეტის გამო სოციალ-დემოკრატიული პარტიის მიერ სახელმწიფო სათათბიროში შეტანილი შეკითხვის პასუხად თავხედურად განაცხადა: „ასე იყო და ასე იქნება"! ლენის მუშების სისხლიანი გაჟლეტის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად გამართული პოლიტიკური გაფიცვების მონაწილეთა რაოდენობა 300 ათასამდე გაიზარდა.

ლენის დღეები თითქოს გრიგალივით შეიჭრნენ „დამშვიდების" იმ ატმოსფეროში, რომელიც სტოლიპინის რეჟიმმა შექმნა.

აი რას სწერდა ამის გამო ამხ. სტალინი პეტერბურგის ბოლშევიკურ გაზეთ „ზვეზდაში" 1912 წელს:

„ლენის მუშების დახვრეტამ დაამსხვრია დუმილის ყინული, და — დაიძრა სახალხო მოძრაობის მდინარე. დაიძრა!... ყოველივემ, რაც კი იყო ბოროტი და დამღუპველი თანამედროვე რეჟიმში, ყოველივემ, რითაც დაავადებული იყო მრავალტანჯული რუსეთი — ყოველივე ამან თავი მოიყარა ერთ ფაქტში, ლენის ამბებში. აი რატომ იყო, რომ სწორედ ლენაზე მომხდარი გასროლა გახდა გაფიცვებისა და დემონსტრაციების სიგნალი".

ლიკვიდატორები და ტროცკისტები ამაოდ მარხავდნენ რევოლუციას. ლენის ამბებმა ცხადჰყვეს, რომ რევოლუციური ძალები ცოცხალნი არიან, რომ მუშათა კლასში დაგროვდა დიდძალი რევოლუციური ენერგია. 1912 წლის საპირველმაისო გაფიცვებმა დაახლოებით 400 ათასი მუშა მოიცვეს. ეს გაფიცვები ატარებდნენ აშკარა პოლიტიკურ ხასიათს, მიმდინარეობდნენ ბოლშევიკური რევოლუციური ლოზუნგებით: დემოკრატიული რესპუბლიკა, 8 საათის სამუშაო დღე, მემამულეთა მთელი მიწის კონფისკაცია. ეს ძირითადი ლოზუნგები მიზნად ისახავდნენ გაეერთიანებინათ არა მარტო მუშათა ფართო მასები, არამედ გლეხები და ჯარისკაცებიც თვითმპყრობელობის წინააღმდეგ რევოლუციური შეტევისათვის.

„სრულიად-რუსეთის პროლეტარიატის გრანდიოზულმა საპირველმაისო გაფიცვამ და ამასთან დაკავშირებით ქუჩებში გამართულმა დემონსტრაციებმა, რევოლუციურმა პროკლამაციებმა და მუშათა მასების წინაშე წარმოთქმულმა რევოლუციურმა სიტყვებმა ნათლად დაგვანახვეს, რომ რუსეთი რევოლუციური აღმავლობის ხანაში შევიდა",—სწერდა ლენინი სტატიაში „რევოლუციური აღმავლობა". **(ლენინი, ტ. XV, გვ. 533).**

მუშების რევოლუციურობით შეშფოთებული ლიკვიდატორები გამოვიდნენ საგაფიცვო ბრძოლის წინააღმდეგ,—უწოდებდნენ რა მას „საგაფიცვო აზარტს". ლიკვიდატორებსა და მათ მოკავშირე ტროცკის პროლეტარიატის რევოლუციური ბრძოლა უნდოდათ შეეცვალათ „საპეტიციო კამპანიით". მუშებს წინადადება ეძლეოდათ ხელი მოეწერათ ქაღალდზე, „პეტიციაზე" და ეთხოვათ „უფლებები" (კავშირების, გაფიცვების და სხვ. შეზღუდვის გაუქმება), რათა შემდეგ ეს ქაღალდი სახელმწიფო სათათბიროში გაეგზავნათ. ლიკვიდატორებმა მხოლოდ 1.300 ხელმოწერის შეგროვება შესძლეს, მაშინ როცა ბოლშევიკების მიერ წამოყენებული რევოლუციური ლოზუნგების ირგვლივ ასეული ათასობით მუშები დაირაზმნენ.

მუშათა კლასი ბოლშევიკების მიერ ნაჩვენები გზით მიდიოდა.

ქვეყნის ეკონომიური ვითარება ამ პერიოდში შემდეგ სურათს იძლეოდა.

სამრეწველო მოდუნება უკვე 1910 წელს შეიცვალა წარმოების გამოცოცხლებით, გაფართოებით მრეწველობის ძირითად დარგებში. თუ თუჯის გამოდნობა 1910 წელს შეადგენდა 186 მილიონ ფუთს, ხოლო 1912 წელს — 256 მილიონს, სამაგიეროდ 1913 წელს შეადგენდა 283 მილიონ ფუთს. ქვანახშირის გამომუშავება 1910 წელს უდრიდა 1.522 მილიონ ფუთს, ხოლო 1913 წელს — უკვე 2.214 მილიონ ფუთს.

კაპიტალისტური მრეწველობის ზრდასთან ერთად სწრაფად იზრდებოდა პროლეტარიატიც. მრეწველობის განვითარების თავისებურებას წარმოადგენდა წარმოების შემდგომი კონცენტრაცია მსხვილ და უმსხვილეს საწარმოებში. თუ 1901 წელს მსხვილ საწარმოებში, სადაც 500 და მეტი მუშა იყო, მუშების მთელი რაოდენობის 46,7 % მუშაობდა, სამაგიეროდ 1910 წელს ასეთი ტიპის საწარმოებში მუშაობდა უკვე დაახლოებით 54 %, ესე იგი ყველა მუშის ნახევარზე მეტი. ეს იყო მრეწველობის უმაგალითო კონცენტრაცია. ყველაზე განვითარებულ სამრეწველო ქვეყანაშიც კი, როგორიც ჩრდილოეთი ამერიკაა, ამ დროს მსხვილ საწარმოებში ყველა მუშის მხოლოდ მესამედამდე მუშაობდა.

პროლეტარიატის ზრდა და მსხვილ საწარმოებში თავმოყრა ისეთი რევოლუციური პარტიის არსებობის დროს, როგორიც ბოლშევიკების პარტიაა, რუსეთის მუშათა კლასს ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრების უდიდეს ძალად ხდიდნენ. საწარმოებში მუშების ექსპლუატაციის ბარბაროსული ფორმები, მეფის ოპრიჩნიკების აუტანელ პოლიციურ რეჟიმთან ერთად, თვითეულ სერიოზულ გაფიცვას პოლიტიკურ ხასიათს აძლევდნენ. ეკონომიური და პოლიტიკური ბრძოლის გადანასკვა კი მასობრივ გაფიცვებს განსაკუთრებულ რევოლუციურ ძალას აძლევდა.

მუშათა რევოლუციური მოძრაობის ავანგარდში მიდიოდა პეტერბურგის გმირი პროლეტარიატი, პეტერბურგს მიჰყვებოდნენ ბალტიისპირა მხარე, მოსკოვი და მოსკოვის გუბერნია, შემდეგ პოვოლჟიე და სამხრეთ რუსეთი. 1913 წელს მოძრაობა ედება დასავლეთის მხარეს, პოლონეთს, კავკასიას. სულ 1912 წელს, ოფიციალური ანგარიშების მიხედვით, გაფიცული იყო 725 ათასი, ხოლო სხვა უფრო სრული ცნობებით — მილიონზე მეტი მუშა, 1913 წელს ოფიციალური ანგარიშების მიხედვით — 861 ათასი, ხოლო უფრო სრული ცნობებით — 1.272 ათასი. 1914 წლის პირველ ნახევარში გაფიცვებში მონაწილეობდა უკვე დაახლოებით მილიონნახევარი მუშა.

ამრიგად, 1912-1914 წლების რევოლუციური აღმავლობა, საგაფიცვო მოძრაობის გაქანება ქვეყანას 1905 წლის რევოლუციის დასაწყისის ვითარებას უახლოვებდნენ.

პროლეტარიატის რევოლუციურ მასობრივ გაფიცვებს **საერთო-სახალხო** მნიშვნელობა ჰქონდათ. ეს გაფიცვები მიმართული იყო თვითმპყრობელობის წინააღმდეგ. გაფიცვებს თანაუგრძნობდა მშრომელი მოსახლეობის უდიდესი უმრავლესობა. მეფაბრიკეები და მექარხნეები გაფიცვებისათვის მუშებზე შურს იძიებდნენ ლოკაუტებით. 1913 წელს მოსკოვის გუბერნიაში კაპიტალისტებმა ქუჩაში გაჰყარეს 50 ათასი ფეიქარი. 1914 წლის მარტში პეტერბურგში მარტო ერთ დღეს დაითხოვეს 70 ათასი მუშა. სხვა საწარმოთა და მრეწველობის სხვა დარგთა მუშები გაფიცულ და ლოკაუტგამოცხადებულ ამხანაგებს ეხმარებოდნენ ფულის მასობრივად შეგროვებით, ზოგჯერ სოლიდარობის გაფიცვებით.

მუშათა მოძრაობის აღმავლობა და მასობრივი გაფიცვები აღვიძებდნენ და ბრძოლაში აბამდნენ აგრეთვე გლეხთა მასებს. გლეხები კვლავ ფეხზე დგებოდნენ მემამულეთა წინააღმდეგ საბრძოლველად, სპობდნენ მემამულეთა მეურნეობებს და კულაკურ ხუტორებს. 1910-1914 წლების განმავლობაში მოხდა გლეხთა 13 ათასზე მეტი გამოსვლა.

დაიწყო რევოლუციური გამოსვლები ჯარებშიც. 1912 წელს მოხდა შეიარაღებული გამოსვლა ჯარებს შორის თურქესტანში. მწიფდებოდა აჯანყებანი ბალტიის ფლოტში და სევასტოპოლში.

რევოლუციური საგაფიცვო მოძრაობა და დემონსტრაციები, რომლებსაც ბოლშევიკური პარტია ხელმძღვანელობდა, გვიჩვენებდნენ, რომ მუშათა კლასი აწარმოებს ბრძოლას არა ნაწილობრივი მოთხოვნებისათვის, არა „რეფორმებისათვის", არამედ ხალხის განთავისუფლებისათვის ცარიზმისაგან. ქვეყანა ახალი რევოლუციისაკენ მიდიოდა.

იმისათვის, რომ რუსეთთან უფრო ახლოს ყოფილიყო, ლენინი 1912 წლის ზაფხულს პარიზიდან გადმოვიდა გალიციაში (ყოფილი ავსტრია). აქ მისი თავმჯდომარეობით შესდგა ცენტრალური კომიტეტის წევრთა და პასუხისმგებელ მუშაკთა ორი თათბირი: ერთი — კრაკოვში 1912 წლის დამლევს და მეორე — დაბა პორონინოში, კრაკოვის მახლობლად, 1913 წლის შემოდგომაზე. ამ თათბირებზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილებანი მუშათა მოძრაობის უმნიშვნელოვანეს საკითხებზე: რევოლუციურ აღმავლობაზე, გაფიცვებსა და პარტიის ამოცანებზე, არალეგალური ორგანიზაციების განმტკიცებაზე, სათათბიროს სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციაზე, პარტიულ პრესაზე, სადაზღვევო კამპანიაზე.

2. ბოლშევიკური გაზეთი „პრავდა". ბოლშევიკური ფრაქცია მე-IV სახელმწიფო სათათბიროში.

ბოლშევიკური პარტიის ხელში თავისი ორგანიზაციების განმტკიცებისა და მასებს შორის გავლენის მოპოვების საქმეში მძლავრ იარაღს წარმოადგენდა ყოველდღიური ბოლშევიკური გაზეთი „პრავდა", რომელიც პეტერბურგში გამოდიოდა. იგი დაარსებულ იქნა ლენინის მითითების თანახმად, სტალინის, ოლმინსკისა და პოლეტაევის ინიციატივით. მასობრივი მუშური გაზეთი „პრავდა" იშვა რევოლუციური მოძრაობის ახალ აღმავლობასთან ერთად. მისი პირველი ნომერი გამოვიდა 1912 წლის 22 აპრილს (5 მაისს ახალი სტილით). ეს იყო ნამდვილი დღესასწაული მუშებისათვის. „პრავდის" გამოსვლის აღსანიშნავად გადაწყდა — გამოეცხადებინათ 5 მაისი მუშათა ბეჭდვითი სიტყვის დღესასწაულის დღედ.

ჯერ კიდევ „პრავდამდე" გამოდიოდა ყოველკვირეული ბოლშევიკური გაზეთი „ზვეზდა", რომელიც მოწინავე მუშებისათვის იყო განკუთვნილი. „ზვეზდამ" დიდი როლი ითამაშა ლენის დღეებში. იქ მოთავსებული იყო ლენინისა და სტალინის მთელი რიგი საბრძოლო პოლიტიკური სტატიები, რომლებიც საბრძოლველად რაზმავდნენ მუშათა კლასს. მაგრამ რევოლუციური აღმავლობის პირობებში ყოველკვირეული გაზეთი ბოლშევიკური პარტიისათვის უკვე საკმარისი არ იყო. საჭირო იყო ყოველდღიური მასობრივი პოლიტიკური გაზეთი, ნავარაუდევი მუშების უფართოესი ფენებისათვის. სწორედ ასეთი გაზეთი იყო „პრავდა".

ამ პერიოდში „პრავდის" როლი განსაკუთრებით დიდი იყო. „პრავდას" ბოლშევიზმის მხარეზე გადმოჰყავდა მუშათა კლასის ფართო მასები. ცენზურისათვის არასასიამოვნო სტატიებისა და კორესპონდენციების მოთავსებისათვის განუწყვეტელი პოლიციური დევნის, ჯარიმების, კონფისკაციების ვითარებაში „პრავდას" მხოლოდ იმით შეეძლო არსებობა, რომ მას აქტიურად უჭერდნენ მხარს ათეული ათასობით მოწინავე მუშები. უდიდესი ფულადი ჯარიმების გადახდა „პრავდას" მხოლოდ იმით შეეძლო, რომ მუშებს შორის შემოწირულება ფართოდ გროვდებოდა. „პრავდის" კონფისკებული ნომრების ტირაჟის მნიშვნელოვანი ნაწილი მაინც აღწევდა მკითხველამდე, რადგან მოწინავე მუშები ჯერ კიდევ ღამით მიდიოდნენ სტამბაში და გაზეთები დასტებით მიჰქონდათ.

მეფის მთავრობამ ორნახევარი წლის განმავლობაში რვაჯერ დახურა „პრავდა", მაგრამ მუშების დახმარებით იგი კვლავ იწყებდა გამოსვლას ახალი, მსგავსი სახელწოდებით, მაგალითად — „ზა პრავდუ", „პუტ პრავდი", „ტრუდოვაია პრავდა".

მაშინ, როცა „პრავდა" დღეში საშუალოდ 40 ათასი ეგზემპლარი ვრცელდებოდა, მენშევიკურ ყოველდღიურ გაზეთ „ლუჩის" ტირაჟი 15-16 ათასს არ აღემატებოდა.

მუშები „პრავდას" თავის მუშურ გაზეთად სთვლიდნენ. მას დიდი ნდობით ეპყრობოდნენ და გულისხმიერად ყურადღებდნენ მის ხმას. „პრავდის" თვითეული ეგზემპლარი ხელიდან ხელში გადადიოდა, მომსახურებას უწევდა ათობით მკითხველებს, აყალიბებდა მათ კლასობრივ შეგნებას, ზრდიდა, რაზმავდა, საბრძოლველად მოუწოდებდა.

რაზე სწერდა „პრავდა"?

„პრავდის" თვითეულ ნომერში თავსდებოდა მუშების ათეული კორესპონდენციები, რომლებშიც აწერილი იყო მუშათა ცხოვრება, მუშების მხეცური ექსპლოატაცია, სხვადასხვანაირი შევიწროება და აბუჩად აგდება კაპიტალისტების, მათი დაყენებული მმართველებისა და ოსტატების მხრივ. ეს იყო კაპიტალისტური წესების ბასრი, მკვეთრი მხილება. ხშირად „პრავდის" შენიშვნებში მოყვანილი იყო ცნობები დამშეული უმუშევრების თვითმკვლელობათა შესახებ, რომლებსაც სამუშაოს შოვნის იმედი დაჰკარგოდათ.

„პრავდა" სწერდა სხვადასხვა ფაბრიკის და მრეწველობის სხვადასხვა დარგის მუშათა საჭიროებებსა და მოთხოვნებზე, სწერდა იმაზე, თუ როგორ იბრძვიან მუშები თავის მოთხოვნებისათვის. თითქმის ყოველ ნომერში სწერდნენ სხვადასხვა საწარმოში მომხდარ გაფიცვებზე. როცა დიდი, ხანგრძლივი გაფიცვები ხდებოდა, გაზეთი რაზმავდა მრეწველობის სხვა საწარმოებისა და დარგების მუშებს იმისათვის, რომ შეგროვებინათ სახსრები გაფიცულებისათვის დახმარების გასაწევად. ზოგჯერ საგაფიცვო ფონდებში გროვდებოდა ათეული ათასობით მანეთი — იმ დროისათვის დიდძალი თანხები, თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ მუშების უმრავლესობა დღეში სულ რაღაც 70-80 კაპიკს ღებულობდა. ეს მუშებს პროლეტარულ სოლიდარობასა და ყველა მუშის ინტერესთა ერთიანობის შეგნებას უნერგავდა.

თვითეულ პოლიტიკურ მოვლენას, თვითეულ გამარჯვებას თუ დამარცხებას მუშები ეხმაურებოდნენ იმით, რომ „პრავდაში" ჰგზავნიდნენ წერილებს, მისალმებებს, პროტესტებს და სხვ. თავის სტატიებში „პრავდა" თანმიმდევრული ბოლშევიკური თვალსაზრისით აშუქებდა მუშათა მოძრაობის ამოცანებს. ლეგალურ გაზეთს არ შეეძლო პირდაპირ მოეწოდებინა ცარიზმის დამხობისაკენ. საჭირო ხდებოდა წერა გადაკვრებით, რაც კარგად ესმოდათ შეგნებულ მუშებს და რასაც ისინი განუმარტავდნენ მასებს. მაგალითად, როცა „პრავდაში" სწერდნენ „ხუთი წლის სრულ და შეუკვეცელ მოთხოვნებზე", მუშებს ესმოდათ, რომ ლაპარაკი იყო ბოლშევიკების რევოლუციურ ლოზუნგებზე — ცარიზმის დამხობის, დემოკრატიული რესპუბლიკის დამყარების, მემამულეთა მიწის კონფისკაციის, 8 საათის სამუშაო დღის ლოზუნგებზე.

„პრავდა" რაზმავდა მოწინავე მუშებს IV სათათბიროს არჩევნების წინ. იგი ამხილებდა ლიბერალურ ბურჟუაზიასთან შეთანხმების მომხრეთა, „სტოლიპინის მუშური პარტიის" მომხრეთა — მენშევიკთა გამცემლურ პოზიციას. „პრავდა" მოუწოდებდა მუშებს ხმა მიეცათ „ხუთი წლის შეუკვეცელი მოთხოვნების" მომხრეებისათვის, ესე იგი ბოლშევიკებისათვის. არჩევნები მრავალსაფეხურიანი იყო. ჯერ მუშათა კრებებზე ირჩევდნენ რწმუნებულებს, შემდეგ რწმუნებულნი ირჩევდნენ ამომრჩევლებს და მხოლოდ ამომრჩევლები მონაწილეობდნენ სათათბიროს მუშა დეპუტატის არჩევნებში. არჩევნების დღეს „პრავდამ" გამოაქვეყნა ამომრჩეველ ბოლშევიკთა სია და მუშებს ურჩევდა ხმა მიეცათ ამ სიისათვის. ამ სიის წინასწარ გამოქვეყნება არ შეიძლებოდა, რათა დასახელებულ კანდიდატების დაპატიმრების საფრთხე არ შექმნოდათ.

„პრავდა" ხელს უწყობდა პროლეტარიატის გამოსვლების მოწყობას. დიდი ლოკაუტის დროს პეტერბურგში 1914 წლის გაზაფხულზე, როდესაც მიზანშეწონილი არ იყო მასობრივი გაფიცვის გამოცხადება, „პრავდა" მოუწოდებდა მუშებს ბრძოლის სხვა ფორმებისაკენ — მასობრივი მიტინგებისაკენ ქარხნებში, დემონსტრაციებისაკენ ქუჩაში. ამის შესახებ გაზეთში პირდაპირ წერა არ შეიძლებოდა. მაგრამ ეს მოწოდება გასაგები იყო შეგნებული მუშებისათვის, რომლებსაც წაკითხული ჰქონდათ ლენინის სტატია მარტივი სათაურით „მუშათა მოძრაობის ფორმების შესახებ", რომელშიც ნათქვამი იყო, რომ მოცემულ მომენტში გაფიცვა უნდა შეიცვალოს მუშათა მოძრაობის უფრო მაღალი ფორმით, რაც ნიშნავდა მიტინგებისა და დემონსტრაციების მოწყობისაკენ მოწოდებას.

ასე ხორციელდებოდა ბოლშევიკების არალეგალური რევოლუციური მოღვაწეობის შეხამება ლეგალურ აგიტაციასთან და მუშათა მასების ორგანიზაციასთან „პრავდის" საშუალებით.

„პრავდა" სწერდა არა მარტო მუშათა ცხოვრების, მუშათა გაფიცვებისა და დემონსტრაციების შესახებ. „პრავდა" სისტემატურად აშუქებდა გლეხთა ცხოვრებას, გლეხობის შიმშილობას, გლეხობის ექსპლუატაციას მემამულე-მებატონეების მიერ, სტოლიპინის „რეფორმის" შედეგად გლეხთა საუკეთესო მიწის წართმევას მეხუტორე-კულაკების მიერ. „პრავდა" შეგნებულ მუშებს უჩვენებდა, თუ რა ბევრი საწვავი მასალა დაგროვდა სოფლად. „პრავდა" ასწავლიდა პროლეტარიატს, რომ 1905 წლის რევოლუციის ამოცანები გადაჭრილი არ არის, რომ მოგველის ახალი რევოლუცია. „პრავდა" ასწავლიდა, რომ ამ მეორე რევოლუციაში პროლეტარიატი უნდა გამოვიდეს ხალხის ნამდვილ ბელადად, ხელმძღვანელად, რომ მას ამ რევოლუციაში ეყოლება ისეთი ძლიერი მოკავშირე, როგორიც არის რევოლუციური გლეხობა.

მენშევიკები ცდილობდნენ მიეღწიათ იმისათვის, რომ პროლეტარიატს აღარ ეფიქრა რევოლუციაზე. მენშევიკები შთააგონებდნენ მუშებს: ნუ იფიქრებთ ხალხზე, გლეხთა შიმშილობაზე, შავრაზმელ მემამულე-მებატონეთა ბატონობაზე, იბრძოლეთ მხოლოდ „კოალიციების თავისუფლებისათვის", წარუდგინეთ ამის შესახებ „პეტიციები" მეფის მთავრობას. ბოლშევიკები განუმარტავდნენ მუშებს, რომ რევოლუციაზე ხელისაღების, გლეხობასთან კავშირზე ხელისაღების ეს მენშევიკური ქადაგება სწარმოებს ბურჟუაზიული ინტერესებისათვის, რომ მუშები დანამდვილებით დაამარცხებენ ცარიზმს, თუ ისინი თავიანთ მხარეზე მოიზიდავენ გლეხობას, როგორც თავიანთ მოკავშირეს, რომ ცუდი მოძღვრები, როგორიც მენშევიკები არიან, უკუგდებულ უნდა იქნან, როგორც რევოლუციის მტრები.

რის შესახებ სწერდა „პრავდა" „გლეხთა ცხოვრების" განყოფილებაში?

მაგალითისათვის ავიღოთ 1913 წლის რამდენიმე კორესპონდენცია.

კორესპონდენცია სათაურით „აგრარული საქმე" იუწყებოდა სამარიდან, რომ ბუგულმის მაზრის სოფელ ნოვოხასბულატის 45 გლეხიდან, რომლებსაც ბრალად ედებოდათ ის, რომ მეიტრუზეებისათვის საზოგადოებრივი მიწის ჯამოყოფის დროს მათ წინააღმდეგობა გაუწიეს მიწისმზომელს, მნიშვნელოვან ნაწილს მიესაჯა ხანგრძლივი პატიმრობა.

მოკლე კორესპონდენცია პსკოვის გუბერნიიდან იუწყებოდა: „სოფელ პსიცას (სადგურ ზავალიეს მახლობლად) გლეხებმა შეიარაღებული წინააღმდეგობა გაუწიეს ჩაფრებს. არიან დაჭრილები. შეტაკების მიზეზია აგრარული გაუგებრობანი. პსიცაში გაიგზავნენ ჩაფრები; იქვე წავიდნენ ვიცე-გუბერნატორი და პროკურორი.

კორესპონდენცია უფის გუბერნიიდან იუწყებოდა გლეხების მიერ ნადელების გაყიდვის შესახებ, იმის შესახებ,რომ შიმშილმა და სასოფლო თემიდან გამოსვლის კანონმა გააძლიერეს გლეხების უმიწოდ დარჩენის პროცესი. აი ხუტორი ბორისოვკა. აქ 27 კომლია, რომლებიც ჰფლობენ 543 დესეტინა სახნავ მიწას. შიმშილობის განმავლობაში 5 მეურნემ სამუდამოდ გაჰყიდა 31 დესეტინა მიწა, დესეტინა 25-33 მანეთად, ხოლო მიწა 3-4-ჯერ უფრო ძვირი ღირს. აქვე 7 კომლმა დააგირავა 177 დესეტინა, მიიღო 18-20 მან. დესეტინაში 6 წლით 12 პროცენტად წელიწადში. თუ მხედველობაში მივიღებთ მოსახლეობის გაღატაკებას და საშინელ პროცენტებს, დარწმუნებით შეიძლება ითქვას: 177 დესეტინიდან ნახევარი უნდა გადავიდეს მევახშის ხელში, ვინაიდან ასეთი დიდი თანხის გადახდა 6 წლის განმავლობაში საეჭვოა რომ შეეძლოს მოვალეთა ნახევარსაც კი.

თავის სტატიაში „მსხვილი მემამულური და წვრილი გლეხური მიწათმფლობელობა რუსეთში", რომელიც „პრავდაში" გამოქვეყნდა, ლენინი თვალსაჩინოდ აჩვენებდა მუშებსა და გლეხებს, თუ მიწის რა უდიდესი რაოდენობა იმყოფება პარაზიტ-მემამულეთა ხელში. მარტო 30 ათას უმსხვილეს მემამულეს ჰქონდა 70 მილიონამდე დესეტინა მიწა. ამდენივე მიწა მოდიოდა 10 მილიონი გლეხური კომლის წილად. ყოველ მსხვილ მემამულეზე საშუალოდ მოდიოდა 2.300 დესეტინა, ყოველ გლეხურ კომლზე, კულაკური კომლების ჩათვლით, — საშუალოდ 7 დესეტინა, ამასთან 5 მილიონ ხელმოკლე გლეხურ კომლს, ესე იგი მთელი გლეხობის ნახევარს, კომლზე ჰქონდა არა უმეტეს ერთი-ორი დესეტინა მიწისა. ეს ფაქტები თვალსაჩინოდ აჩვენებდნენ, რომ გლეხთა სიღატაკისა და შიმშილობის მიზეზია მსხვილი მემამულური მიწათმფლობელობა, ბატონყმობის ნაშთები, რომელთაგან განთავისუფლება გლეხობას შეუძლია მხოლოდ რევოლუციის საშუალებით, რომელსაც მუშათა კლასი ხელმძღვანელობს.

სოფელთან დაკავშირებული მუშების საშუალებით „პრავდა" აღწევდა სოფელში, მოწინავე გლეხებს აღვიძებდა რევოლუციური ბრძოლისათვის.

„პრავდის" შექმნის პერიოდში არალეგალური სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციები მთლიანად ბოლშევიკების ხელში იყო. ხოლო ორგანიზაციის ლეგალური ფორმები — სათათბიროს ფრაქცია, პრესა, დამზღვევი სალაროები, პროფკავშირები — ჯერ კიდევ სავსებით არ გვქონდა წართმეული მენშევიკებისათვის. საჭირო იყო ბოლშევიკების გადამწყვეტი ბრძოლა ლიკვიდატორთა განდევნისათვის მუშათა კლასის ლეგალური ორგანიზაციებიდან. ეს ბრძოლა „პრავდის" მეოხებით წარმატებით დამთავრდა.

„პრავდა" იდგა პარტიულობისათვის, **მასობრივი** მუშათა რევოლუციური პარტიის აღდგენისათვის ბრძოლის ცენტრში. „პრავდა" ამჭიდროებდა ლეგალურ ორგანიზაციებს ბოლშევიკური პარტიის არალეგალური კერების გარშემო და მუშათა მოძრაობას მიმართავდა ერთი გარკვეული მიზნისაკენ — რევოლუციის მომზადებისაკენ.

„პრავდას" მუშა კორესპონდენტთა დიდი რაოდენობა ჰყავდა. მარტო ერთი წლის განმავლობაში მასში დაიბეჭდა 11 ათასზე მეტი მუშათა კორესპონდენცია. მაგრამ „პრავდა" მუშათა მასებს უკავშირდებოდა არა მარტო წერილებისა და კორესპონდენციების გზით. მრავალი მუშა საწარმოებიდან ყოველდღე შედიოდა რედაქციაში. „პრავდის" რედაქციაში თავმოყრილი იყო პარტიის ორგანიზაციული მუშაობის მნიშვნელოვანი ნაწილი. აქ მართავდნენ შეხვედრებს ადგილობრივი პარტიული უჯრედების წარმომადგენლებთან, აქ მოდიოდა ცნობები პარტიული მუშაობის შესახებ ფაბრიკებსა და ქარხნებში, აქედან გადაეცემოდა ხოლმე პარტიის პეტერბურგის კომიტეტისა და ცენტრალური კომიტეტის პარტიული დირექტივები.

მასობრივი რევოლუციური მუშათა პარტიის აღდგენისათვის ლიკვიდატორებთან ორნახევარი წლის შეუპოვარი ბრძოლის შედეგად ბოლშევიკებმა მიაღწიეს იმას, რომ 1914 წლის ზაფხულისათვის ბოლშევიკურ პარტიას, „პრავდისტულ" ტაქტიკას მიჰყვებოდა რუსეთის აქტიურ მუშათა **ოთხი მეხუთედი**. ამას მოწმობდა, მაგალითად, ის ფაქტი, რომ მუშათა ჯგუფების საერთო რაოდენობიდან — 7 ათასიდან, რომლებიც 1914 წელში აგროვებდნენ ფულს მუშათა გაზეთებისათვის, 5.600 ჯგუფი აგროვებდა ფულს ბოლშევიკური ბეჭდვითი სიტყვისათვის და მხოლოდ 1.400 ჯგუფი — მენშევიკურისათვის. სამაგიეროდ მენშევიკებს ჰყავდათ ბევრი „მდიდარი მეგობარი" ლიბერალური ბურჟუაზიიდან და ბურჟუაზიული ინტელიგენციიდან, რომლებიც აძლევდნენ იმ სახსრების ნახევარზე მეტს, რაც მენშევიკური გაზეთის შესანახად იყო საჭირო.

ბოლშევიკებს მაშინ „პრავდისტებს" უწოდებდნენ. „პრავდასთან" ერთად იზრდებოდა რევოლუციური პროლეტარიატის მთელი თაობა, რომელმაც შემდეგში ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია ჩაატარა. „პრავდის" უკან იდგნენ ათიათასობით და ასიათასობით მუშები. რევოლუციური აღმავლობის წლებში (1912-1914) მასობრივ ბოლშევიკურ პარტიას ჩაეყარა მტკიცე საძირკველი, რომლის დანგრევაც ვერ შესძლო ცარიზმის მხრივ ვერავითარმა დევნამ იმპერიალისტური ომის პერიოდში.

„1912 წლის „პრავდა" — ეს იყო საძირკვლის ჩაყრა ბოლშევიზმის გამარჯვებისათვის 1917 წელში". **(სტალინი).**

პარტიის მეორე სრულიად-რუსეთის ლეგალური ორგანო იყო ბოლშევიკური ფრაქცია IV სახელმწიფო სათათბიროში.

1912 წელს მთავრობამ დანიშნა IV სათათბიროს არჩევნები. არჩევნებში მონაწილეობას ჩვენი პარტია დიდ მნიშვნელობას აძლევდა. სათათბიროს სოციალ-დემოკრატიული ფრაქცია და გაზეთი „პრავდა" იყვნენ საერთო — რუსეთის მასშტაბის ძირითადი დასაყრდენი ლეგალური პუნქტები, რომლების საშუალებითაც ბოლშევიკური პარტია ეწეოდა თავის რევოლუციურ მუშაობას მასებში.

ბოლშევიკური პარტია სათათბიროს არჩევნებში გამოვიდა დამოუკიდებლად, თავისი საკუთარი ლოზუნგებით, სცემდა რა ლახვარს ერთსადაიმავე დროს მთავრობის პარტიებსაც და ლიბერალურ ბურჟუაზიასაც (კადეტები). საარჩევნო კამპანიას ბოლშევიკები აწარმოებდნენ დემოკრატიული რესპუბლიკის, 8-საათიანი სამუშაო დღის, მემამულეთა მიწის კონფისკაციის ლოზუნგებით.

IV სათათბიროს არჩევნები სწარმოებდა 1912 წლის შემოდგომაზე. ოქტომბრის დამლევს მთავრობა, რომელიც უკმაყოფილო იყო არჩევნების მიმდინარეობით პეტერბურგში, შეეცადა დაერღვია მუშათა საარჩევნო უფლებები მთელ რიგ უდიდეს ქარხნებში. ამის საპასუხოდ ჩვენი პარტიის პეტერბურგის კომიტეტმა, ამხ. სტალინის წინადადებით, უდიდეს საწარმოთა მუშებს მოუწოდა ერთდღიური გაფიცვისაკენ. მძიმე მდგომარეობაში ჩაყენებული მთავრობა იძულებული გახდა დაეთმო, და მუშებმა კრებებზე მიიღეს შესაძლებლობა აერჩიათ ისინი, ვინც უნდოდათ. მუშების დიდმა უმრავლესობამ ხმა მისცა რწმუნებულებისა და დეპუტატის „განაწესს", შედგენილს ამხ. სტალინის მიერ. „პეტერბურგის მუშათა განაწესი თავიანთ მუშა დეპუტატს" მოგვაგონებდა 1905 წლის გადაუჭრელ ამოცანებს.

„...ჩვენ ვფიქრობთ, — ნათქვამი იყო „განაწესში", — რომ რუსეთი ცხოვრობს მომავალ მასობრივ მოძრაობათა წინ, რომლებიც შეიძლება უფრო ღრმა იყოს, ვიდრე ხუთ წელს... ამ მოძრაობათა წამომწყები, ისევე როგორც ხუთ წელში, იქნება რუსეთის საზოგადოების ყველაზე მოწინავე კლასი, რუსეთის პროლეტარიატი. მისი მოკავშირე კი შეიძლება იყოს მხოლოდ მრავალტანჯული გლეხობა, რომელიც ღრმად არის დაინტერესებული რუსეთის განთავისუფლებით".

„განაწესი" აცხადებდა, რომ ხალხის მომავალმა გამოსვლებმა უნდა მიიღონ ორ ფრონტზე ბრძოლის — როგორც მეფის მთავრობის წინააღმდეგ, ისე ცარიზმთან შეთანხმების მძებნელი ლიბერალური ბურჟუაზიის წინააღმდეგ ბრძოლის ფორმა.

ლენინი დიდ მნიშვნელობას აძლევდა „განაწესს", რომელიც მუშებს რევოლუციური ბრძოლისაკენ მოუწოდებდა. და მუშები თავიანთ რეზოლუციებში ეხმაურებოდნენ ამ მოწოდებას.

ბოლშევიკებმა გაიმარჯვეს არჩევნებში, და სათათბიროში პეტერბურგის მუშებისაგან არჩეულ იქნა ამხ. ბადაევი.

მუშები სათათბიროში ირჩევდნენ მოსახლეობის დანარჩენი ფენებისაგან განცალკევებით (ეგრეთწოდებული მუშათა კურია). მუშათა კურიიდან არჩეული ცხრა დეპუტატიდან ექვსი ბოლშევიკური პარტიის წევრი იყო: ბადაევი, პეტროვსკი, მურანოვი, სამოილოვი, შაგოვი და მალინოვსკი (რომელიც შემდეგში პროვოკატორი აღმოჩნდა). ბოლშევიკი დეპუტატები გავიდნენ უდიდესი სამრეწველო ცენტრებიდან, რომლებშიც ითვლებოდა მუშათა კლასის არანაკლებ 4/5-ისა. მაგრამ ზოგიერთი ლიკვიდატორი არჩეულ იქნა არა მუშებისაგან, ე. ი. არა მუშათა კურიიდან. ამიტომ სათათბიროში აღმოჩნდა 7 ლიკვიდატორი 6 ბოლშევიკის წინააღმდეგ. თავდაპირველად ბოლშევიკებმა და ლიკვიდატორებმა შექმნეს სათათბიროში ერთი საერთო სოციალ-დემოკრატიული ფრაქცია. ლიკვიდატორებთან შეუპოვარი ბრძოლის შემდეგ, რომლებიც ხელს უშლიდნენ ბოლშევიკების რევოლუციურ მუშაობას, ბოლშევიკი-დეპუტატები 1913 წლის ოქტომბერში, ბოლშევიკური პარტიის ც. კ-ის მითითებით, გამოვიდნენ გაერთიანებული სოციალ-დემოკრატიული ფრაქციიდან და შექმნეს დამოუკიდებელი ბოლშევიკური ფრაქცია.

ბოლშევიკთა დეპუტატები გამოდიოდნენ სათათბიროში რევოლუციური სიტყვებით, რომლებიც ამხილებდნენ თვითმპყრობელურ წყობილებას, აძლევდნენ შეკითხვებს მთავრობას მუშებთან ანგარიშის გასწორების შესახებ. კაპიტალისტების მიერ მუშათა არაადამიანური ექსპლუატაციის შესახებ.

ისინი გამოდიოდნენ სათათბიროში აგრეთვე აგრარულ საკითხზე, თავიანთ სიტყვებში მოუწოდებდნენ გლეხებს მებატონე-მემამულეთა წინააღმდეგ ბრძოლისაკენ, ამხილებდნენ კადეტურ პარტიას, რომელიც მემამულეთა მიწების კონფისკაციისა და გლეხებისათვის მათი გადაცემის წინააღმდეგი იყო.

ბოლშევიკებმა სახელმწიფო სათათბიროში შეიტანეს კანონპროექტი 8-საათიანი სამუშაო დღის შესახებ, რომელიც, რა თქმა უნდა, მიღებული არ იქნა შავრაზმული სათათბიროს მიერ, მაგრამ რომელმაც დიდი სააგიტაციო როლი შეასრულა.

სათათბიროს ბოლშევიკური ფრაქცია მჭიდროდ იყო დაკავშირებული პარტიის ც. კ-თან, ლენინთან და იღებდა მისგან მითითებებს. პეტერბურგში ყოფნის დროს მათ უშუალოდ ხელმძღვანელობდა ამხანაგი სტალინი.

ბოლშევიკი - დეპუტატები არ იზღუდებოდნენ სათათბიროში მუშაობით, მათ დიდი საქმიანობა გააჩაღეს სათათბიროს გარეთაც. ისინი მიდიოდნენ ფაბრიკებსა და ქარხნებში, დაიარებოდნენ ქვეყნის მუშათა ცენტრებში მოხსენებებით, მართავდნენ საიდუმლო კრებებს, რომლებზედაც განმარტავდნენ პარტიის გადაწყვეტილებებს, ჰქმნიდნენ ახალ პარტიულ ორგანიზაციებს. დეპუტატები უნარიანად ახამებდნენ ლეგალურ მოღვაწეობას არალეგალურ, ფარულ მუშაობასთან.

(გაგრძელება იხ. მე-3 გვ.)

გაგრძელება

3 ბოლშევიკების გამარჯვება ლეგალურ ორგანიზაციებში. რევოლუციური მოძრაობის შემდგომი ზრდა. იმპერიალისტური ომის წინადღეები.

ბოლშევიკების პარტიამ ამ პერიოდში გვიჩვენა პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის ყველა ფორმისა და გამოვლინების ხელმძღვანელობის ნიმუშები. იგი აშენებდა არალეგალურ ორგანიზაციებს. იგი სცემდა არალეგალურ ფურცლებს. იგი აწარმოებდა ფარულ რევოლუციურ მუშაობას მასებში. ამასთან ერთად იგი უფრო და უფრო ეუფლებოდა მუშათა კლასის სხვადასხვა ლეგალურ ორგანიზაციებს. პარტია მიისწრაფოდა დაეპყრო პროფესიული კავშირები, სახალხო სახლები, საღამოს უნივერსიტეტები, კლუბები, სადაზღვევო დაწესებულებანი. ეს ლეგალური ორგანიზაციები დიდიხანია წარმოადგენდნენ ლიკვიდატორთა თავშესაფარს. ბოლშევიკებმა დაიწყეს ენერგიული ბრძოლა ლეგალურ საზოგადოებათა გადაქცევისათვის ჩვენი პარტიის დასაყრდენ პუნქტებად. ოსტატურად აერთებდნენ რა არალეგალურ მუშაობას ლეგალურთან, ბოლშევიკებმა თავიანთ მხარეზე მოიზიდეს პროფესიულ გაერთიანებათა უმრავლესობა ორივე სატახტო ქალაქში. ბოლშევიკებმა განსაკუთრებით ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვეს 1913 წელს მელითონეთა კავშირის გამგეობის არჩევნებში პეტერბურგში: კრების დამსწრე 3 ათასი მელითონიდან 150 კაცმა თუ მისცა ხმა ლიკვიდატორებს.

იგივე უნდა ითქვას ისეთ ლეგალურ ორგანიზაციაზე, როგორიც იყო სოციალ-დემოკრატიული ფრაქცია IV სახელმწიფო სათათბიროში. თუმცა მენშევიკებს სათათბიროში ჰყავდათ 7 დეპუტატი, ხოლო ბოლშევიკებს 6 დეპუტატი. მენშევიკთა შვიდეული, რომელიც უმთავრესად არამუშური რაიონებიდან გავიდა, ძლივს წარმოადგენდა მუშათა კლასის 1/5 ნაწილს, მაშინ როდესაც ბოლშევიკთა ექსეული, რომელიც ქვეყნის ძირითადი სამრეწველო ცენტრებიდან გავიდა (პეტერბურგი, მოსკოვი, ივანოვო-ვოზნესენსკი, კოსტრომა, ეკატერინოსლავი, ხარკოვი), წარმოადგენდა ქვეყნის მუშათა კლასის 4/5-ზე მეტს. მუშები თავიანთ დეპუტატებად სთვლიდნენ ექვსეულს (ბადაევი, პეტროვსკი და სხვ.), და არა შვიდეულს.

ბოლშევიკებმა ლეგალური ორგანიზაციების დაპყრობა შესძლეს იმიტომ, რომ მათ, მიუხედავად ცარიზმის მხრით ველური დევნა-შევიწროვებისა და ლიკვიდატორებისა და ტროცკისტების მხრით გესლის ნთხევისა, შესძლეს შეენარჩუნებინათ არალეგალური პარტია და მტკიცე დისციპლინა თავიანთ რიგებში, ისინი მტკიცედ იცავდნენ მუშათა კლასის ინტერესებს, მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებულნი მასებთან და შეურიგებელ ბრძოლას აწარმოებდნენ მუშათა მოძრაობის მტრებთან.

ამრიგად, ბოლშევიკების გამარჯვება და მენშევიკების დამარცხება ლეგალურ ორგანიზაციებში მთელი ხაზით ვითარდებოდა. როგორც სათათბიროს ტრიბუნიდან აგიტაციის დარგში, ისე მუშათა პრესის და სხვა ლეგალური ორგანიზაციების დარგში მენშევიკები უკანა პლანზე იქნენ უკუგდებულნი. რევოლუციური მოძრაობით მოცული მუშათა კლასი გარკვეულად ირაზმებოდა ბოლშევიკების გარშემო, და უკუაგდებდა მენშევიკებს.

ყოველივე ამასთან ერთად მენშევიკები გაკოტრდნენ ნაციონალური საკითხის დარგში. რევოლუციური მოძრაობა რუსეთის განაპირა კუთხეებში მოითხოვდა ნათელ პროგრამას ნაციონალურ საკითხში. მაგრამ მენშევიკებს არ აღმოაჩნდათ არავითარი პროგრამა, თუ არ ჩავთვლით ბუნდის „კულტურულ ავტონომიას", რომელიც ვერავის ვერ დააკმაყოფილებდა. მხოლოდ ბოლშევიკებს აღმოაჩნდათ მარქსისტული პროგრამა ნაციონალურ საკითხში, რომელიც მოცემული იყო ამხანაგ სტალინის სტატიაში „მარქსიზმი და ნაციონალური საკითხი" და ლენინის სტატიებში „ერთა თვითგამორკვევის უფლების შესახებ" და „კრიტიკული შენიშვნები ნაციონალურ საკითხებზე".

გასაკვირი არ არის, რომ მენშევიზმის ასეთ დამარცხებათა შემდეგ აგვისტოს ბლოკი ძლიერ შეირყა. მან, ჭრელი ელემენტებისაგან შედგენილმა, ვერ გაუძლო ბოლშევიკების შეტევას და ნაწილებად იწყო დაშლა. ბოლშევიკებთან ბრძოლისათვის შექმნილი აგვისტოს ბლოკი ბოლშევიკების მიერ მიტანილი იერიშების წყალობით მალე დაიშალა. ბლოკიდან პირველად წავიდნენ ვპერიოდელები (ბოგდანოვი, ლუნაჩარსკი და სხვ.), შემდეგ გავიდნენ ლატვიელები, შემდეგ დაიქსაქსნენ დანარჩენები.

ბოლშევიკებთან ბრძოლაში დამარცხების შემდეგ ლიკვიდატორებმა დახმარებისათვის მიმართეს II ინტერნაციონალს. II ინტერნაციონალი დაეხმარა მათ. ლიკვიდატორებთან ბოლშევიკების „შერიგების" სახით, „პარტიაში მშვიდობიანობის" დამყარების სახით II ინტერნაციონალმა მოსთხოვა ბოლშევიკებს შეეწყვიტათ ლიკვიდატორთა შემთანხმებლური პოლიტიკის კრიტიკა. მაგრამ ბოლშევიკები შეურიგებლები იყვნენ: მათ უარი სთქვეს დამორჩილებოდნენ ოპორტუნისტული II ინტერნაციონალის გადაწყვეტილებებს და არავითარ დათმობებზე არ წავიდნენ.

ლეგალურ ორგანიზაციებში ბოლშევიკების გამარჯვება არ ყოფილა და არც შეიძლებოდა ყოფილიყო შემთხვევითი. იგი შემთხვევითი არ იყო არა მარტო იმიტომ, რომ მხოლოდ ბოლშევიკებს ჰქონდათ სწორი მარქსისტული თეორია, ნათელი პროგრამა და ჰყავდათ ბრძოლებში გამოწრთობილი რევოლუციური პროლეტარული პარტია. იგი შემთხვევითი არ იყო კიდევ იმიტომ, რომ ბოლშევიკების გამარჯვება ასახავდა რევოლუციური აღმავლობის ზრდას.

მუშათა რევოლუციური მოძრაობა უფრო და უფრო ვითარდებოდა, ედებოდა ახალ ქალაქებსა და ოლქებს. 1914 წლის დადგომის შემდეგ, მუშათა გაფიცვებმა არათუ შენელება იწყეს, არამედ პირიქით ახალი ძალით გაჩაღდნენ. გაფიცვები უფრო და უფრო შეუპოვარი ხდებოდა, ედებოდა მუშათა უფრო და უფრო მეტ რაოდენობას. 9 იანვარს გაფიცული იყო 250 ათასი მუშა, მათგან 140 ათასი — პეტერბურგში. 1 მაისს გაფიცული იყო ნახევარ მილიონზე მეტი მუშა, მათგან პეტერბურგში — 250 ათასზე მეტი. გაფიცვებში მუშები არაჩვეულებრივ სიმტკიცეს იჩენდნენ. ობუხოვის ქარხანაში პეტერბურგში გაფიცვა გრძელდებოდა ორ თვეზე მეტს, ლესნერის ქარხანაში — დაახლოვებით სამ თვეს. პეტერბურგის მთელ რიგ საწარმოებში მასობრივმა მოწამვლამ გამოიწვია 115 ათასი მუშის გაფიცვა და ამის შემდეგ დემონსტრაციები. მოძრაობა ზრდას განაგრძობდა. 1914 წლის პირველ ნახევარში (ივლისის დამდეგის ჩათვლით) სულ გაიფიცა 1.425 ათასი მუშა.

მაისში ბაქოში დაიწყო ნავთის მრეწველობის მუშათა საყოველთაო გაფიცვა, რომელმაც რუსეთის მთელი პროლეტარიატის ყურადღება მიიპყრო. გაფიცვა ორგანიზებულად ტარდებოდა. 20 ივნისს ბაქოში მოხდა 20 ათასი მუშის დემონსტრაცია. პოლიციამ ბაქოს მუშების წინააღმდეგ უსასტიკესი ზომები მიიღო. პროტესტისა და ბაქოს მუშებთან სოლიდარობის ნიშნად მოსკოვში დაიწყო გაფიცვა, რომელიც სხვა რაიონებსაც მოედო.

3 ივლისს პუტილოვის ქარხანაში პეტერბურგში სწარმოებდა მიტინგი ბაქოს გაფიცვის გამო. პოლიციამ სროლა აუტეხა მუშებს. ამან პეტერბურგის პროლეტარიატში უდიდესი აღელვება გამოიწვია. 4 ივლისს პეტერბურგში პარტიის პეტერბურგის კომიტეტის მოწოდებით პროტესტის ნიშნად გაიფიცა 90 ათასი მუშა, 7 ივლისს გაფიცული იყო 130 ათასი, 8 ივლისს—150 ათასი, 11 ივლისს — 200 ათასი.

მღელვარება მოედო ყველა ქარხანას, ყველგან იმართებოდა მიტინგები და დემონსტრაციები. საქმე ბარიკადების აშენების ცდამდე მივიდა. ბარიკადები შენდებოდა აგრეთვე ბაქოსა და ლოძში. მთელ რიგ პუნქტებში პოლიციამ სროლა აუტეხა მუშებს. მოძრაობის ჩასახშობად მთავრობამ მიიღო „საგანგებო" ზომები, სატახტო ქალაქი გადაქცეულ იქნა სამხედრო ბანაკად, „პრავდა" დახურულ იქნა.

მაგრამ ამ დროს სცენაზე გამოჩნდა საერთაშორისო ხასიათის ახალი ძალა — იმპერიალისტური ომი, —რომელსაც უნდა შეეცვალნა მოვლენათა მსვლელობა. სწორედ ივლისის რევოლუციური ამბების დროს მომავალი ომის დაწყების შესახებ მეფესთან მოსალაპარაკებლად პეტერბურგში ჩამოვიდა საფრანგეთის პრეზიდენტი პუანკარე. რამდენიმე დღის შემდეგ გერმანიამ ომი გამოუცხადა რუსეთს. მეფის მთავრობამ ისარგებლა ომით იმისათვის, რომ გაენადგურებინა ბოლშევიკური ორგანიზაციები და ჩაეხშო მუშათა მოძრაობა. რევოლუციის აღმავლობა შესწყვიტა მსოფლიო ომმა, რომელშიც მეფის მთავრობა რევოლუციისაგან ხსნას ეძებდა.

მოკლე დასკვნები

ახალი რევოლუციური აღმავლობის წლებში (1912—1914) ბოლშევიკების პარტია სათავეში ჩაუდგა მუშათა მოძრაობას და იგი ბოლშევიკური ლოზუნგებით მიჰყავდა ახალი რევოლუციისაკენ. პარტიამ შესძლო განეხორციელებინა არალეგალური მუშაობის შეერთება ლეგალურთან. ამსხვრევდა რა ლიკვიდატორებისა და მათი მეგობრების ტროცკისტებისა და ოტზოვისტების წინააღმდეგობას, იგი დაეუფლა ლეგალური მოძრაობის ყველა ფორმას და ლეგალური ორგანიზაციები თავისი რევოლუციური მუშაობით დასაყრდენ პუნქტებად გახადა.

ებრძოდა რა მუშათა კლასის მტრებს და მათს აგენტებს მუშათა მოძრაობაში, პარტიამ განამტკიცა თავისი რიგები და გააფართოვა თავისი კავშირი მუშათა კლასთან. ფართოდ იყენებდა რა სათათბიროს ტრიბუნას რევოლუციური აგიტაციისათვის და შექმნა რა შესანიშნავი მასობრივი მუშათა გაზეთი „პრავდა", პარტიამ აღზარდა რევოლუციურ მუშათა ახალი თაობა — „პრავდისტები". მუშათა ეს ფენა იმპერიალისტური ომის წლებში ინტერნაციონალიზმისა და პროლეტარული რევოლუციის დროშის ერთგული დარჩა. იგივე ფენა შეადგენდა შემდეგ ბოლშევიკური პარტიის ბირთვს ოქტომბრის რევოლუციის დღეებში 1917 წელს.

იმპერიალისტური ომის წინადღეებში პარტია ხელმძღვანელობდა მუშათა კლასის რევოლუციურ გამოსვლებს. ეს იყო ავანგარდული ბრძოლები, რომლებიც შესწყვიტა იმპერიალისტურმა ომმა, მაგრამ რომლებიც განახლდა შემდეგში, სამი წლის შემდეგ, იმისათვის, რომ დაემხო ცარიზმი. იმპერიალისტური ომის მძიმე ხანაში ბოლშევიკური პარტია შედიოდა პროლეტარული ინტერნაციონალიზმის გაშლილი დროშებით.

თავი VI

ბოლშევიკების პარტია იმპერიალისტური ომის პერიოდში. მეორე რევოლუცია რუსეთში. (1914 წ.—1917 წ. მარტი).

1. იმპერიალისტური ომის წარმოშობა და მისი მიზეზები.

1914 წლის 14 (27) ივლისს მეფის მთავრობამ საყოველთაო მობილიზაცია გამოაცხადა. 19 ივლისს (1 აგვისტოს) გერმანიამ ომი გამოუცხადა რუსეთს.

რუსეთი ომში ჩაება.

ომის დაწყებამდე ჯერ კიდევ ბევრად ადრე ლენინს, ბოლშევიკებს გათვალისწინებული ჰქონდათ მისი გარდუვალობა. სოციალისტთა საერთაშორისო ყრილობებზე ლენინი გამოდიოდა თავისი წინადადებებით, რომლებიც მიმართული იყო იქითკენ, რომ განესაზღვრა რევოლუციური ხაზი სოციალისტების მოქმედებისა ომის წარმოშობის შემთხვევაში.

ლენინი აღნიშნავდა, რომ ომები კაპიტალიზმის გარდუვალი თანამგზავრია. სხვისი მიწა-წყლის ძარცვა, კოლონიების დაპყრობა და გაძარცვა, ახალი ბაზრების ხელში ჩაგდება არაერთხელ წარმოადგენდა კაპიტალისტურ სახელმწიფოთა დაპყრობითი ომების მიზეზს. კაპიტალისტური ქვეყნებისათვის ომი ისეთსავე ბუნებრივ და კანონიერ მდგომარეობას წარმოადგენს, როგორც მუშათა კლასის ექსპლუატაცია.

ომები განსაკუთრებით გარდუვალი გახდა, როდესაც კაპიტალიზმი XIX საუკუნის დამლევს და XX საუკუნის დამდეგს საბოლოოდ გადაიზარდა თავისი განვითარების უმაღლეს და უკანასკნელ საფეხურში—იმპერიალიზმში. იმპერიალიზმის დროს კაპიტალისტურ სახელმწიფოთა ცხოვრებაში გადამწყვეტი როლი შეიძინეს კაპიტალისტთა მძლავრმა გაერთიანებებმა (მონოპოლიებმა) და ბანკებმა. ფინანსიური კაპიტალი ბატონ-პატრონი გახდა კაპიტალისტურ სახელმწიფოებში. ფინანსიური კაპიტალი მოითხოვდა ახალ ბაზრებს, ახალი კოლონიების ხელში ჩაგდებას, ახალ ადგილებს კაპიტალის ექსპორტისათვის, ნედლეულის ახალ წყაროებს.

მაგრამ უკვე XIX საუკუნის დამლევს დედამიწის მთელი ტერიტორია განაწილებული აღმოჩნდა კაპიტალისტურ სახელმწიფოებს შორის. ამავე დროს კი, კაპიტალიზმის განვითარება იმპერიალიზმის ეპოქაში მეტად უთანაბროდ და ნახტომისებურად ხდება: ზოგი ქვეყნები, რომლებიც წინათ პირველ ადგილზე იყვნენ, შედარებით ნელა ავითარებენ თავის მრეწველობას, სხვები, რომლებიც წინათ ჩამორჩენილი იყვნენ, სწრაფი ნახტომებით ეწევიან და უსწრებენ მათ. იცვლებოდა იმპერიალისტურ სახელმწიფოთა ეკონომიური და სამხედრო ძალების თანაფარდობა. ჩნდებოდა მისწრაფება მსოფლიოს ახალი გადანაწილებისაკენ. მსოფლიოს ახალი გადანაწილებისათვის ბრძოლა იწვევდა იმპერიალისტური ომის გარდუვალობას. 1914 წლის ომი იყო ომი მსოფლიოს და გავლენის სფეროების გადანაწილებისათვის. მას დიდიხნით ადრე ამზადებდნენ იმპერიალისტური სახელმწიფოები. ამ ომის გაჩაღებაში დამნაშავენი არიან ყველა ქვეყნის იმპერიალისტები.

განსაკუთრებით კი ამ ომს ამზადებდნენ ერთის მხრით გერმანია და ავსტრია, ხოლო მეორე მხრით საფრანგეთი, ინგლისი და მათზე დამოკიდებული რუსეთი. 1907 წელს წარმოიშვა სამთა შეთანხმება, ანუ ანტანტა, — ინგლისის, საფრანგეთისა და რუსეთის კავშირი. მეორე იმპერიალისტურ კავშირს შეადგენდნენ გერმანია, ავსტრია-უნგრეთი და იტალია. მაგრამ იტალია 1914 წლის ომის დასაწყისში გამოვიდა ამ კავშირიდან, შემდეგ კი ანტანტას მიემხრო. გერმანიასა და ავსტრია-უნგრეთს მხარს უჭერდნენ ბულგარეთი და თურქეთი.

ემზადებოდა რა იმპერიალისტური ომისათვის, გერმანია მიისწრაფოდა წაერთმია ინგლისისა და საფრანგეთისათვის კოლონიები, რუსეთისათვის—უკრაინა, პოლონეთი, ბალტიის მხარე. გერმანია ემუქრებოდა ინგლისის ბატონობას ახლო-აღმოსავლეთში იმით, რომ გაიყვანა ბაღდადის რკინიგზა. ინგლისს, გერმანიის საზღვაო შეიარაღების ზრდისა ეშინოდა.

მეფის რუსეთი მიისწრაფოდა თურქეთის განაწილებისაკენ, ოცნებობდა შავი ზღვიდან ხმელთაშუა ზღვისაკენ სრუტეების (დარდანელი) დაპყრობაზე, ოცნებობდა იმაზე, რომ ხელში ჩაეგდო კონსტანტინოპოლი. მეფის მთავრობის გეგმები ითვალისწინებდა აგრეთვე ავსტრია-უნგრეთის ნაწილის — გალიციის დაპყრობას.

ინგლისი მიისწრაფოდა ომის საშუალებით დაემარცხებინა თავისი საშიში კონკურენტი — გერმანია, რომლის საქონელი ომის წინ სულ უფროდაუფრო სდევნიდა ინგლისის საქონელს მსოფლიო ბაზრიდან. გარდა ამისა, ინგლისს განზრახვა ჰქონდა წაერთმია თურქეთისათვის მესოპოტამია, პალესტინა და მტკიცედ მოეკიდებინა ფეხი ეგვიპტეში.

საფრანგეთის კაპიტალისტები მიისწრაფოდნენ წაერთმიათ გერმანიისათვის ქვანახშირითა და რკინით მდიდარი საარის ბასეინი და ელზას-ლოტარინგია, რომელიც გერმანიამ საფრანგეთს 1870—1871 წლების ომში წაართვა.

ამრიგად, იმპერიალისტური ომი გამოიწვიეს კაპიტალისტურ სახელმწიფოთა ორ ჯგუფს შორის არსებულმა უდიდესმა წინააღმდეგობებმა.

მსოფლიოს გადანაწილებისათვის დაწყებული ეს მძარცველური ომი ყველა იმპერიალისტური ქვეყნის ინტერესებს ეხებოდა, და ამიტომ შემდეგში მასში ჩათრეული აღმოჩნდნენ იაპონია, ამერიკის შეერთებული შტატები და მთელი რიგი სხვა სახელმწიფოები.

ომი მსოფლიო ომად იქცა.

იმპერიალისტურ ომს ბურჟუაზია ამზადებდა თავისი ხალხებისაგან უაღრესად ფარულად. როდესაც ომმა იფეთქა, თვითეული იმპერიალისტური მთავრობა ცდილობდა დაემტკიცებინა, რომ ის კი არ დაესხმია თავს მეზობლებს, არამედ მას დაესხნენ თავს. ბურჟუაზია ატყუებდა ხალხს, ფარავდა ომის ნამდვილ მიზნებს, მის იმპერიალისტურ, დაპყრობითს ხასიათს. თვითეული იმპერიალისტური მთავრობა აცხადებდა, ომი თავისი სამშობლოს დასაცავად სწარმოებსო.

ხალხის მოტყუებაში ბურჟუაზიას ეხმარებოდნენ ოპორტუნისტები II ინტერნაციონალიდან. II ინტერნაციონალის სოციალ-დემოკრატებმა ვერაგულად უღალატეს სოციალიზმის საქმეს, პროლეტარიატის საერთაშორისო სოლიდარობის საქმეს. ისინი არა თუ არ გამოვიდნენ ომის წინააღმდეგ, არამედ, პირიქით, ეხმარებოდნენ ბურჟუაზიას მეომარ სახელმწიფოთა მუშებისა და გლეხების ერთმანეთზე წასისინებაში სამშობლოს დაცვის დროშით.

რუსეთი შემთხვევით როდი გამოსულა იმპერიალისტურ ომში ანტანტის—საფრანგეთისა და ინგლისის მხარეზე. საჭიროა მხედველობაში ვიქონიოთ, რომ 1914 წლის წინ რუსეთის მრეწველობის უმნიშვნელოვანესი დარგები უცხოეთის კაპიტალის, უმთავრესად საფრანგეთის, ინგლისისა და ბელგიის, ესე-იგი ანტანტის ქვეყნების კაპიტალის ხელში იყო. რუსეთის უმნიშვნელოვანესი მეტალურგიული ქარხნები საფრანგეთის კაპიტალისტების ხელში იყო. მთლიანად მეტალურგია თითქმის სამი მეოთხედით (72 პროცენტით) დამოკიდებული იყო უცხოეთის კაპიტალზე. ასეთივე სურათი იყო ქვანახშირის მრეწველობაში — დონბასში. ნავთის მოპოვების დაახლოვებით ნახევარი ინგლის-საფრანგეთის კაპიტალის ხელში იყო. რუსეთის მრეწველობის მოგების მნიშვნელოვანი ნაწილი საზღვარგარეთის, უმთავრესად — ინგლის-საფრანგეთის ბანკებში მიდიოდა. ყველა ამ გარემოებამ, და ამის დამატებით მეფის მიერ საფრანგეთსა და ინგლისში აღებულმა მილიარდიანმა სესხებმა მიაჯაჭვა ცარიზმი ინგლის-საფრანგეთის იმპერიალიზმს, გადააქცია რუსეთი ამ ქვეყნების მოხარკედ, მათს ნახევრადკოლონიად.

რუსეთის ბურჟუაზია იმედოვნებდა ომის დაწყებით გამოესწორებინა თავისი საქმეები: დაეპყრო ახალი ბაზრები, გამდიდრებულიყო სამხედრო შეკვეთებითა და სასარდო მიწოდებებით და ამავე დროს ჩაეხშო რევოლუციური მოძრაობა ომიანობის ვითარების გამოყენებით.

მეფის რუსეთი მოუმზადებელი ჩაება ომში. რუსეთის მრეწველობა ძლიერ ჩამორჩებოდა სხვა კაპიტალისტურ ქვეყნებს. მასში სჭარბობდნენ ძველი ფაბრიკები და ქარხნები გაცვეთილი მოწყობილობით. სოფლის მეურნეობა ნახევრადბატონყმური მიწათმფლობელობითა და გაღატაკებული, გაჩანაგებული გლეხობით არ შეიძლებოდა ყოფილიყო მტკიცე ეკონომიური საფუძველი ხანგრძლივი ომის საწარმოებლად.

მეფე ეყრდნობოდა უმთავრესად მემამულე-მებატონეებს. დიდი შავრაზმელი მემამულეები ჰსხვილ კაპიტალისტებთან შეკავშირებით პარპაშობდნენ ქვეყანაში და სახელმწიფო სათათბიროში. ისინი სავსებით უჭერდნენ მხარს მეფის მთავრობის საშინაო და საგარეო პოლიტიკას. რუსეთის იმპერიალისტურ ბურჟუაზიას იმედი ჰქონდა მეფის თვითმპყრობელობისა, როგორც ჯავშნიანი მუშტისა, რომელსაც შეეძლო უზრუნველეყო მისთვის ერთის მხრით ახალი ბაზრებისა და ახალი მიწაწყლის დაპყრობა, ხოლო მეორე მხრით—მუშათა და გლეხთა რევოლუციური მოძრაობის ჩახშობა

ლიბერალური ბურჟუაზიის პარტიას—კადეტებს — ვითომ ოპოზიციად მოჰქონდა თავი, მაგრამ მეფის მთავრობის საგარეო პოლიტიკას იგი უშენიშვნოდ უჭერდა მხარს.

ესერთა და მენშევიკთა წვრილბურჟუაზიული პარტიები, რომლებიც სოციალიზმის დროშით ინიღბებოდნენ, ომის დასაწყისიდანვე ეხმარებოდნენ ბურჟუაზიას ხალხის მოტყუებაში, ომის იმპერიალისტური, მძარცველური ხასიათის დაფარვაში. ისინი ჰქადაგებდნენ ბურჟუაზიული „სამშობლოს" დაცვის აუცილებლობას, „პრუსიელი ბარბაროსებისაგან" მისი დაცვის აუცილებლობას, მხარს უჭერდნენ „სამოქალაქო ზავის" პოლიტიკას და, ამრიგად, ეხმარებოდნენ რუსეთის მეფეს ეწარმოებინა ომი, ისევე, როგორც გერმანიის სოციალ-დემოკრატები ეხმარებოდნენ გერმანიის მეფის მთავრობას ეწარმოებინა ომი „რუსი ბარბაროსების" წინააღმდეგ.

მხოლოდ ბოლშევიკების პარტია დარჩა რევოლუციური ინტერნაციონალიზმის დიადი დროშის ერთგული, იგი მტკიცედ რჩებოდა მეფის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ, მემამულეებისა და კაპიტალისტების წინააღმდეგ, იმპერიალისტური ომის წინააღმდეგ გადამწყვეტი ბრძოლის მარქსისტულ პოზიციებზე. ბოლშევიკური პარტია ომის პირველი დღეებიდანვე იცავდა იმ დებულებას, რომ ომი დაწყებულია არა სამშობლოს დასაცავად, არამედ სხვისი მიწა-წყლის დასაპყრობად, სხვა ხალხების გასაძარცვავად მემამულეთა და კაპიტალისტთა ინტერესებისათვის, რომ ამ ომის წინააღმდეგ მუშებმა გადამწყვეტი ომი უნდა აწარმოონ.

მუშათა კლასი მხარს უჭერდა ბოლშევიკთა პარტიას.

მართალია, ბურჟუაზიულ-პატრიოტული თავბრუ, რომელიც ომის დასაწყისში ინტელიგენციას და გლეხობის კულაკურ ფენებს მოედო, მუშების ერთგვარ ნაწილსაც გადაედო. მაგრამ ესენი იყვნენ უმთავრესად „რუსი ხალხის კავშირის" ამ ხულიგნური კავშირის წევრები, ხოლო ნაწილი — ესერულ-მენშევიკურად განწყობილი მუშები. ისინი, რათქმა უნდა, არ ასახავდნენ მუშათა კლასის განწყობილებებს და არც შეიძლებოდა აესახათ ეს განწყობილებანი. სწორედ ეს ელემენტები აღმოჩნდნენ ბურჟუაზიის იმ შოვინისტური მანიფესტაციების მონაწილენი, რომლებიც მეფის მთავრობამ ომის პირველ დღეებში მოაწყო.

2. II ინტერნაციონალის პარტიების გადასვლა თავისი იმპერიალისტური მთავრობების მხარეზე. II ინტერნაციონალის დაშლა ცალკეულ სოციალ-შოვინისტურ პარტიებად.

ლენინი არაერთხელ გვაფრთხილებდა II ინტერნაციონალის ოპორტუნიზმისა და მისი ბელადების მერყეობის შესახებ. იგი მუდამ ამტკიცებდა, რომ II ინტერნაციონალის ბელადები მხოლოდ სიტყვიერად არიან ომის წინააღმდეგნი, რომ იმ შემთხვევაში, თუ ომი მოხდა, მათ შეიძლება თავისი პოზიცია შესცვალონ და იმპერიალისტური ბურჟუაზიის მხარეზე გადავიდნენ, შეიძლება ომის მომხრენი გახდნენ. ომის პირველმავე დღეებმა დაადასტურა ლენინის წინასწარ განჭვრეტა.

1910 წელს II ინტერნაციონალის კოპენჰაგენის კონგრესზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ სოციალისტებმა პარლამენტებში სამხედრო კრედიტების წინააღმდეგ უნდა მისცენ ხმა. ბალკანეთის ომის დროს 1912 წელს II ინტერნაციონალის ბაზელის საერთაშორისო კონგრესმა განაცხადა, რომ ყველა ქვეყნის მუშებს დანაშაულად მიაჩნიათ ერთმანეთისათვის სროლის ატეხა კაპიტალისტთა მოგების გასადიდებლად. ასე იყო სიტყვიერად, რეზოლუციებში.

ხოლო როდესაც იმპერიალისტურმა ომმა დაიგრგვინა და საჭირო იყო ამ გადაწყვეტილებების ცხოვრებაში გატარება, II ინტერნაციონალის ბელადები აღმოჩნდნენ პროლეტარიატის გამცემლები და მოღალატენი, აღმოჩნდნენ ბურჟუაზიის მსახურნი,—ისინი ომის მომხრენი გახდნენ.

1914 წლის 4 აგვისტოს გერმანიის სოციალ-დემოკრატიამ პარლამენტში ხმა მისცა სამხედრო კრედიტებს, იმპერიალისტური ომისათვის მხარის დაჭერას. ასევე მოიქცა საფრანგეთის, ინგლისის, ბელგიის და სხვა ქვეყნების სოციალისტების უდიდესი უმრავლესობა.

II ინტერნაციონალმა არსებობა შესწყვიტა. არსებითად იგი დაიშალა ცალკეულ სოციალ-შოვინისტურ, ერთიმეორის წინააღმდეგ მეომარ პარტიებად.

სოციალისტური პარტიების ბელადებმა უღალატეს პროლეტარიატს და გადავიდნენ სოციალ-შოვინიზმის პოზიციაზე, იმპერიალისტური ბურჟუაზიის დაცვის პოზიციაზე. ისინი ეხმარებოდნენ იმპერიალისტურ მთავრობებს მუშათა კლასის მოტყუებაში და ნაციონალიზმის შხამით მის მოწამვლაში. ამ სოციალ-გამცემლებმა სამშობლოს დაცვის დროშით დაიწყეს გერმანელი მუშების წასისინება ფრანგ მუშებზე, ხოლო ინგლისელი და ფრანგი მუშებისა—გერმანელებზე. II ინტერნაციონალის მხოლოდ უმნიშვნელო უმცირესობა დარჩა ინტერნაციონალისტურ პოზიციაზე და წავიდა მდინარების წინააღმდეგ, მართალია, არასავსებით მტკიცედ და არა სავსებით გარკვეულად, მაგრამ მაინც წავიდა მდინარების წინააღმდეგ.

მხოლოდ ბოლშევიკების პარტიამ თავიდანვე და უყოყმანოდ აღმართა იმპერიალისტური ომის წინააღმდეგ გადამწყვეტი ბრძოლის დროშა. თეზისებში ომის შესახებ, რომლებიც დასწერა ლენინმა 1914 წლის შემოდგომაზე, ლენინი აღნიშნავდა, რომ II ინტერნაციონალის დაცემა შემთხვევითი არ არის. II ინტერნაციონალი დაღუპეს ოპორტუნისტებმა, რომელთა წინააღმდეგ უკვე დიდიხანია იძლეოდნენ გაფრთხილებას რევოლუციური პროლეტარიატის საუკეთესო წარმომადგენლები.

II ინტერნაციონალის პარტიები ომამდეც დაავადებული იყვნენ ოპორტუნიზმით. ოპორტუნისტები აშკარად ჰქადაგებდნენ რევოლუციურ ბრძოლაზე ხელის აღებას, ჰქადაგებდნენ „სოციალიზმში კაპიტალიზმის მშვიდობიანად შეზრდის" თეორიას. II ინტერნაციონალს არ სურდა ებრძოლნა ოპორტუნიზმის წინააღმდეგ, იგი ოპორტუნიზმთან ზავის მომხრე იყო და განმტკიცების საშუალება მისცა მას. II ინტერნაციონალი ოპორტუნიზმის მიმართ შემარიგებლურ პოლიტიკას ადგა და თვითონ გახდა ოპორტუნისტული.

იმპერიალისტური ბურჟუაზია კოლონიებისაგან და ჩამორჩენილი ქვეყნების ექსპლუატაციით მიღებული მოგების ხარჯზე სისტემატურად ეწეოდა უფრო მაღალი ხელფასისა და სხვა ნასუფრალის მიცემის საშუალებით კვალიფიციურ მუშათა ზედაფენის, ეგრეთწოდებული მუშათა არისტოკრატიის მოსყიდვას. მუშათა ამ ფენიდან საკმაოდ ბევრნი გამოვიდნენ პროფკავშირებისა და კოოპერატივების ხელმძღვანელები, მუნიციპალიტეტებისა და პარლამენტების დეპუტატები, პრესისა და სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების მუშაკები. ომის მომენტში ეს ადამიანები, რომლებსაც თავისი მდგომარეობის დაკარგვისა ეშინოდათ, გახდნენ რევოლუციის მოწინააღმდეგენი, გახდნენ თავისი ბურჟუაზიის, თავისი იმპერიალისტური მთავრობების ყველაზე თავგამოდებული დამცველნი.

ოპორტუნისტები სოციალ-შოვინისტებად იქცნენ.

სოციალ-შოვინისტები, მათ შორის რუსი მენშევიკები და ესერები, ჰქადაგებდნენ ქვეყნის შიგნით მუშების კლასობრივ ზავს ბურჟუაზიასთან, ხოლო თავისი ქვეყნის გარეთ—ომს სხვა ხალხების წინააღმდეგ. ისინი ატყუებდნენ მასებს — არ ეუბნებოდნენ მათ, თუ ნამდვილად ვის მიუძღოდა ბრალი ომში, და აცხადებდნენ, რომ მათი ქვეყნის ბურჟუაზიას ბრალი არ მიუძღოდა ომში. ბევრი სოციალ-შოვინისტები თავისი ქვეყნის იმპერიალისტურ მთავრობათა მინისტრები გახდნენ.

პროლეტარიატის საქმისათვის არანაკლებად საშიში იყვნენ ფარული სოციალ-შოვინისტები, ეგრეთწოდებული ცენტრისტები. ცენტრისტები—კაუტსკი, ტროცკი, მარტოვი და სხვები ამართლებდნენ და იცავდნენ აშკარა სოციალ-შოვინისტებს, მაშასადამე, ღალატობდნენ პროლეტარიატს სოციალ-შოვინისტებთან ერთად, ჰფარავდნენ თავის ღალატს „მემარცხენე" ფრაზებით ომის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ, რომლებიც ნავარაუდევი იყო მუშათა კლასის მოტყუებისათვის. ნამდვილად კი ცენტრისტები მხარს უჭერდნენ ომს, ვინაიდან ცენტრისტების წინადადება—არ მიეცათ ხმა სამხედრო კრედიტების წინააღმდეგ და დასჯერებოდნენ თავშეკავებას სამხედრო კრედიტებისათვის კენჭისყრის დროს, — მოასწავებდა ომისათვის მხარდაჭერას. ისინი ისევე, როგორც სოციალ-შოვინისტები, მოითხოვდნენ კლასობრივ ბრძოლაზე ხელის აღებას ომის დროს, რათა თავისი იმპერიალისტური მთავრობისათვის ხელი არ შეეშალნათ ომის წარმოებაში. ცენტრისტი ტროცკი ომისა და სოციალიზმის ყველა უმნიშვნელოვანეს საკითხში ლენინის წინააღმდეგი, ბოლშევიკური პარტიის წინააღმდეგი იყო.

ლენინი ომის პირველი დღეებიდანვე შეუდგა ძალების შეკრებას ახალი, III ინტერნაციონალის შესაქმნელად. უკვე 1914 წლის ნოემბრის მანიფესტში ომის წინააღმდეგ ბოლშევიკური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა დასახა ამოცანა III ინტერნაციონალის შექმნისა ნაცვლად II ინტერნაციონალისა, რომელმაც სამარცხვინო კრახი განიცადა.

1915 წლის თებერვალში ლონდონში ანტანტის ქვეყნების სოციალისტთა კონფერენციაზე ლენინის დავალებით გამოვიდა ამხ. ლიტვინოვი. ლიტვინოვმა მოითხოვა სოციალისტების (ვანდერველდეს, სამბას, გედის) გამოსვლა ბელგიისა და საფრანგეთის ბურჟუაზიული მთავრობებიდან და იმპერიალისტებთან კავშირის სავსებით გაწყვეტა, მათთან თანამშრომლობაზე ხელის აღება. იგი ყველა სოციალისტისაგან მოითხოვდა გადამწყვეტ ბრძოლას თავისი იმპერიალისტური მთავრობების წინააღმდეგ და სამხედრო კრედიტებისათვის ხმის მიცემის დაგმობას. მაგრამ ლიტვინოვის ხმა ამ კონფერენციაზე მარტოდ გაისმა.

1915 წლის სექტემბრის დამდეგს ციმერვალდში შეიკრიბა ინტერნაციონალისტთა პირველი კონფერენცია. ლენინი ამ კონფერენციას უწოდებდა „პირველ ნაბიჯს" ომის წინააღმდეგ ინტერნაციონალური მოძრაობის განვითარებაში. ლენინმა ამ კონფერენციაზე შეჰქმნა ციმერვალდის მემარცხენე ჯგუფი. მაგრამ ციმერვალდის ამ მემარცხენე ჯგუფში ერთადერთი სწორი, ბოლომდე თანმიმდევრული პოზიცია ომის წინააღმდეგ ეჭირა მხოლოდ ბოლშევიკთა პარტიას ლენინის მეთაურობით. ციმერვალდის მემარცხენე ჯგუფი გერმანულ ენაზე სცემდა ჟურნალ „წინამორბედს", რომელშიაც ლენინის სტატიები იბეჭდებოდა.

1916 წელს მოხერხდა შვეიცარიის სოფელ კინტალში ინტერნაციონალისტთა მეორე კონფერენციის მოწვევა. მას ციმერვალდის მეორე კონფერენცია ეწოდება. ამ დროისათვის თითქმის ყველა ქვეყანაში გამოიყვენენ ინტერნაციონალისტთა ჯგუფები, უფრო მკვეთრად დაისახა ინტერნაციონალისტური ელემენტების გათიშვა სოციალ-შოვინისტებისაგან. ხოლო რაც მთავარია—თვით მასები ამ დროისათვის გამემარცხენდნენ ომისა და მის მიერ გამოწვეული გაჭირვების გავლენით. კინტალის მანიფესტი გამომუშავებულ იქნა კონფერენციაზე მებრძოლი სხვადასხვა ჯგუფების შეთანხმების შედეგად. ციმერვალდის მანიფესტთან შედარებით ის იყო ნაბიჯი წინ.

მაგრამ კინტალის კონფერენციამაც არ მიიღო ბოლშევიკების პოლიტიკის ძირითადი დებულებანი: იმპერიალისტური ომის გადაქცევა სამოქალაქო ომად, თავისი იმპერიალისტური მთავრობების დამარცხება ომში, III ინტერნაციონალის შექმნა. მიუხედავად ამისა, კინტალის კონფერენციამ ხელი შეუწყო ინტერნაციონალისტური ელემენტების გამოყოფას, რომელთაგან შემდეგში შეიქმნა III კომუნისტური ინტერნაციონალი.

ლენინი აკრიტიკებდა მემარცხენე სოციალ-დემოკრატების ბანაკის არათანმიმდევარი ინტერნაციონალისტების შეცდომებს ისეთებისას, როგორიც იყვნენ როზა ლუქსემბურგი, კარლ ლიბკნეხტი, მაგრამ ამავე დროს ეხმარებოდა მათ იმაში, რომ დაეკავებინათ სწორი პოზიცია.

3. ბოლშევიკური პარტიის თეორია და ტაქტიკა ომის, ზავისა და რევოლუციის საკითხებში.

ბოლშევიკები როდი იყვნენ უბრალო პაციფისტები (მშვიდობიანობის მომხრეები), რომლებიც მშვიდობიანობაზე მოსთქვამენ და მშვიდობიანობის ქადაგებით კმაყოფილდებიან, როგორც ამას სჩადიოდა მემარცხენე სოციალ-დემოკრატების უმრავლესობა. ბოლშევიკები მოითხოვდნენ აქტიურ რევოლუციურ ბრძოლას მშვიდობიანობისათვის თვით მეომარი იმპერიალისტური ბურჟუაზიის ძალაუფლების დამხობამდე. ბოლშევიკები მშვიდობიანობის საქმეს უკავშირებდნენ პროლეტარული რევოლუციის გამარჯვების საქმეს, სთვლიდნენ რა, რომ ომის ლიკვიდაციისა და სამართლიანი ზავის,—უანექსიო და უკონტრიბუციო ზავის — მოსაპოებლად ყველაზე უტყუარ საშუალებას იმპერიალისტური ბურჟუაზიის ძალაუფლების დამხობა წარმოადგენს.

რევოლუციისაგან მენშევიკ-ესერთა განდგომისა და ომის დროს „სამოქალაქო ზავის" შენარჩუნების გამცემლური ლოზუნგის წინააღმდეგ—ბოლშევიკებმა წამოაყენეს **„იმპერიალისტური ომის სამოქალაქო ომად გადაქცევის"** ლოზუნგი. ეს ლოზუნგი მოასწავებდა, რომ მშრომელებს, მათ შორის ჯარისკაცის ფარაჯებში გადაცმულ შეიარაღებულ მუშებსა და გლეხებს, თავისი იარაღი უნდა მიემართათ საკუთარი ბურჟუაზიის წინააღმდეგ და დაემხოთ მისი ძალაუფლება, თუ კი მათ უნდოდათ თავი დაეხსნათ ომისაგან და სამართლიანი ზავისათვის მიეღწიათ.

ბურჟუაზიული სამშობლოს დაცვის მენშევიკურ-ესერული პოლიტიკის წინააღმდეგ — ბოლშევიკებმა წამოაყენეს პოლიტიკა **„საკუთარი მთავრობის დამარცხებისა იმპერიალისტურ ომში"**. ეს მოასწავებდა, რომ საჭირო იყო ხმა მიგვეცა სამხედრო კრედიტების წინააღმდეგ, შეგვექმნა არალეგალური რევოლუციური ორგანიზაციები არმიაში, ხელი შეგვეწყო ჯარისკაცების დაძმობილებისათვის ფრონტზე, მოგვეწყო მუშათა და გლეხთა რევოლუციური გამოსვლები ომის წინააღმდეგ და გადაგვექცია ეს გამოსვლები აჯანყებად საკუთარი იმპერიალისტური მთავრობის წინააღმდეგ.

ბოლშევიკები სთვლიდნენ, რომ იმპერიალისტურ ომში ხალხისათვის ყველაზე ნაკლები ბოროტება იქნებოდა მეფის მთავრობის სამხედრო დამარცხება, ვინაიდან ეს დამარცხება გააადვილებდა ხალხის გამარჯვებას ცარიზმზე და მუშათა კლასის წარმატებითს ბრძოლას კაპიტალისტური მონობისა და იმპერიალისტური ომებისაგან განთავისუფლებისათვის. ამასთან ლენინი სთვლიდა, რომ საკუთარი იმპერიალისტური მთავრობის დამარცხების პოლიტიკას უნდა ატარებდნენ არა მარტო რუსი რევოლუციონერები, არამედ **ყველა** მეომარი ქვეყნის მუშათა კლასის რევოლუციური პარტიებიც.

ბოლშევიკები **ყოველგვარი** ომის წინააღმდეგი როდი იყვნენ. ისინი წინააღმდეგნი იყვნენ მხოლოდ მტაცებლური, იმპერიალისტური ომისა. ბოლშევიკები სთვლიდნენ, რომ ომი ორნაირია:

ა) ომი **სამართლიანი,** არადამპყრობლური, განმათავისუფლებელი, რომელიც მიზნად ისახავს ან ხალხის დაცვას გარეშე თავდასხმისაგან და მისი დამონების ცდებისაგან, ან ხალხის განთავისუფლებას კაპიტალიზმის მონობისაგან, ანდა, ბოლოს, კოლონიებისა და დამოკიდებული ქვეყნების განთავისუფლებას იმპერიალისტების მხრივ ჩაგვრისაგან, და

ბ) ომი **უსამართლო,** დამპყრობლური, რომელიც მიზნად ისახავს სხვა ქვეყნების, სხვა ხალხების დაპყრობასა და დამონებას.

პირველი სახის ომს ბოლშევიკები მხარს უჭერდნენ. რაც შეეხება მეორე სახის ომს, ბოლშევიკები სთვლიდნენ, რომ მის წინააღმდეგ საჭიროა გაჩაღდეს გადამწყვეტი ბრძოლა თვით რევოლუციამდე და საკუთარი იმპერიალისტური მთავრობის დამხობამდეც კი.

მთელი მსოფლიოს მუშათა კლასისათვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდათ ლენინის მიერ ომის დროს დაწერილ თეორიულ შრომებს. 1916 წლის გაზაფხულზე ლენინმა დასწერა შრომა: „იმპერიალიზმი, როგორც კაპიტალიზმის უმაღლესი სტადია". ლენინმა ამ წიგნში გვი-

(გაგრძელება იხ. მე-4 გვ.)

გ ა გ რ ძ ე ლ ე ბ ა

ჩვენა, რომ იმპერიალიზმი—ეს კაპიტალიზმის უმაღლესი სტადიაა, როცა მან უკვე მოასწრო „პროგრესიული" კაპიტალიზმიდან პარაზიტულ კაპიტალიზმად, ლპობად კაპიტალიზმად გადაქცევა, რომ იმპერიალიზმი მომაკვდავი კაპიტალიზმია. ეს, რა თქმა უნდა, იმას არ ნიშნავდა, რომ კაპიტალიზმი მოკვდებოდა თვითონ, პროლეტარიატის რევოლუციის გარეშე, რომ იგი თვითონ მთლად დალპებოდა. ლენინი ყოველთვის გვასწავლიდა, რომ მუშათა კლასის რევოლუციის გარეშე კაპიტალიზმის დამხობა შეუძლებელია. ამიტომ, განსაზღვრა რა იმპერიალიზმი, როგორც მომაკვდავი კაპიტალიზმი, ლენინმა ამ წიგნში ამასთან ერთად გვიჩვენა, რომ „იმპერიალიზმი არის პროლეტარიატის სოციალური რევოლუციის წინადღე".

ლენინმა გვიჩვენა, რომ კაპიტალისტური ჩაგვრა იმპერიალიზმის ეპოქაში სულ უფროდაუფრო ძლიერდება, რომ იმპერიალიზმის პირობებში იზრდება პროლეტარიატის აღშფოთება კაპიტალიზმის საფუძვლების წინააღმდეგ, იზრდება რევოლუციური აფეთქების ელემენტები კაპიტალისტური ქვეყნების შიგნით.

ლენინმა გვიჩვენა, რომ იმპერიალიზმის ეპოქაში მწვავდება რევოლუციური კრიზისი კოლონიურ და დამოკიდებულ ქვეყნებში, იზრდება ელემენტები იმპერიალიზმის წინააღმდეგ აღშფოთებისა, იზრდება ელემენტები განმანთავისუფლებელი ომისა იმპერიალიზმის წინააღმდეგ.

ლენინმა გვიჩვენა, რომ იმპერიალიზმის პირობებში კაპიტალიზმის განვითარების უთანაბრობა და წინააღმდეგობანი განსაკუთრებით გამწვავდნენ, რომ საქონლის გასაღებისა და კაპიტალის გატანის ბაზრებისათვის ბრძოლა, კოლონიებისათვის, ნედლეულის წყაროებისათვის ბრძოლა გარდუვალს ხდის პერიოდულ იმპერიალისტურ ომებს მსოფლიოს ახალი გაყოფისათვის.

ლენინმა გვიჩვენა, რომ კაპიტალიზმის განვითარების სწორედ ამ უთანაბრობის შედეგად ხდება იმპერიალისტური ომები, რომლებიც ასუსტებენ იმპერიალიზმის ძალებს და შესაძლებელს ხდიან იმპერიალიზმის ფრონტის გარღვევას იქ, სადაც იგი ყველაზე უფრო სუსტი აღმოჩნდება.

ყოველივე ამის საფუძველზე ლენინი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ სავსებით შესაძლებელია იმპერიალისტური ფრონტის გარღვევა პროლეტარიატის მიერ სადმე ერთ ადგილას ან რამდენიმე ადგილას, რომ **შესაძლებელია** სოციალიზმის გამარჯვება თავდაპირველად რამდენიმე ქვეყანაში ან ერთს, ცალკე აღებულ, ქვეყანაშიც კი, რომ ყველა ქვეყანაში სოციალიზმის ერთდროისი გამარჯვება ამ ქვეყნებში კაპიტალიზმის განვითარების უთანაბრობის გამო—**შეუძლებელია**, რომ სოციალიზმი თავდაპირველად გაიმარჯვებს ერთს ან რამდენიმე ქვეყანაში, ხოლო დანარჩენი ქვეყნები ერთხანს ბურჟუაზიულ ქვეყნებად დარჩებიან.

აი ამ გენიალური დასკვნის ფორმულირება, მოცემული ლენინის მიერ იმპერიალისტური ომის პერიოდში დაწერილ ორ სხვადასხვა სტატიაში:

1) „ეკონომიური და პოლიტიკური განვითარების უთანაბრობა კაპიტალიზმის აუცილებელი კანონია. აქედან გამომდინარეობს, რომ სოციალიზმის გამარჯვება თავდაპირველად შესაძლოა რამდენიმე ან და თუნდაც ერთ, ცალკე აღებულ, კაპიტალისტურ ქვეყანაში. ამ ქვეყნის გამარჯვებული პროლეტარიატი, კაპიტალისტების ექსპროპრიაციისა და თავის ქვეყანაში სოციალისტური წარმოების მოწყობის შემდეგ, **დაუპირისპირდებოდა** დანარჩენ, კაპიტალისტურ მსოფლიოს, მიიმხრობდა სხვა ქვეყნების დაჩაგრულ კლასებს"... (1915 წლის აგვისტოში დაწერილი სტატიიდან „ევროპის შეერთებული შტატების ლოზუნგის შესახებ"). **(ლენინი, ტ. XVIII, გვ. 232—233).**

2) „კაპიტალიზმის განვითარება სხვადასხვა ქვეყანაში უაღრესად უთანაბროდ ხდება. სხვანაირად არც შეიძლება იყოს სასაქონლო წარმოების დროს. აქედან გამომდინარეობს გარდუვალი დასკვნა: სოციალიზმი ერთსა და იმავე დროს ვერ გაიმარჯვებს **ყველა** ქვეყანაში. იგი თავდაპირველად გაიმარჯვებს ერთს ან რამდენიმე ქვეყანაში, ხოლო დანარჩენები ერთხანს დარჩებიან ბურჟუაზიულნი ან წინაბურჟუაზიულნი. ამან უნდა გამოიწვიოს არა მარტო უთანხმოებანი, არამედ სხვა ქვეყნების ბურჟუაზიის პირდაპირი მისწრაფებაც—გაანადგუროს სოციალისტური სახელმწიფოს ძლევამოსილი პროლეტარიატი. ამ შემთხვევაში ომი ჩვენის მხრით კანონიერი და სამართლიანი იქნებოდა. ეს იქნებოდა ომი სოციალიზმისათვის, ბურჟუაზიისაგან სხვა ქვეყნების განთავისუფლებისათვის" (1916 წლის შემოდგომაზე დაწერილი სტატიიდან „პროლეტარული რევოლუციის სამხედრო პროგრამა"). **(ლენინი, ტ. XIX, გვ. 325).**

ეს იყო სოციალისტური რევოლუციის **ახალი**, დამთავრებული თეორია, ცალკეულ ქვეყნებში სოციალიზმის გამარჯვების შესაძლებლობის, მისი გამარჯვების პირობების, მისი გამარჯვების პერსპექტივების თეორია, თეორია, რომლის საფუძვლებიც ლენინმა ჯერ კიდევ 1905 წელს დასახა ბროშურაში „სოციალ-დემოკრატიის ორი ტაქტიკა დემოკრატიულ რევოლუციაში".

ეს თეორია ძირფესვიანად განსხვავდებოდა იმ დებულებისაგან, რომელიც გავრცელებული იყო მარქსისტებს შორის **იმპერიალიზმამდელი** კაპიტალიზმის პერიოდში, როცა მარქსისტები სთვლიდნენ, რომ სოციალიზმის გამარჯვება ერთ რომელიმე ქვეყანაში შეუძლებელია, რომ სოციალიზმის გამარჯვება ერთსადაიმავე დროს მოხდება ყველა ცივილიზებულ ქვეყანაში. ლენინმა, **იმპერიალისტური** კაპიტალიზმის შესახებ მონაცემთა საფუძველზე, რომლებიც მოყვანილია მის შესანიშნავ წიგნში „იმპერიალიზმი, როგორც კაპიტალიზმის უმაღლესი სტადია", თავდაყირა დააყენა ეს დებულება, როგორც მოძველებული, და მოგვცა ახალი თეორიული დებულება, რომლის თანახმად სოციალიზმის ერთსადაიმავე დროს გამარჯვება ყველა ქვეყანაში **შეუძლებლადაა** მიჩნეული, ხოლო სოციალიზმის გამარჯვება ერთ, ცალკე აღებულ, კაპიტალისტურ ქვეყანაში **შესაძლებლადაა** აღიარებული.

სოციალისტური რევოლუციის ლენინური თეორიის ფასდაუდებელი მნიშვნელობა მარტო იმაში კი არ მდგომარეობს, რომ მან ახალი თეორიით გაამდიდრა მარქსიზმი და წინ წასწია იგი. მისი მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ იგი რევოლუციურ პერსპექტივას აძლევს ცალკეული ქვეყნების პროლეტარებს, ანვითარებს მათ ინიციატივას თავისი, ნაციონალური, ბურჟუაზიის წინააღმდეგ შეტევის საქმეში, ასწავლის მათ გამოიყენონ ომის ვითარება ასეთი შეტევის მოსაწყობად და განამტკიცებს მათს რწმენას პროლეტარული რევოლუციის საბოლოო გამარჯვებისადმი.

ასეთი იყო ბოლშევიკების თეორიული და ტაქტიკური გეზი ომის, ზავისა და რევოლუციის საკითხებში.

ამ გეზის საფუძველზე ეწეოდნენ თავის პრაქტიკულ მუშაობას ბოლშევიკები რუსეთში.

მიუხედავად სასტიკი პოლიციური დევნისა, სათათბიროს დეპუტატებმა—ბადაევმა, პეტროვსკიმ, მურანოვმა, სამოილოვმა, შაგოვმა ომის დასაწყისში შემოიარეს მთელი რიგი ორგანიზაციები მოხსენებებით ომისა და რევოლუციისადმი ბოლშევიკების დამოკიდებულების შესახებ. 1914 წლის ნოემბერში მოწყობილ იქნა სახელმწიფო სათათბიროს ბოლშევიკური ფრაქციის თათბირი ომისადმი დამოკიდებულების საკითხის განსახილველად. მესამე დღეს ეს თათბირი მთელი შემადგენლობით დაპატიმრებულ იქნა. სასამართლომ ყველა დეპუტატს მიუსაჯა უფლებების ჩამორთმევა და ციმბირში გადასახლება. მეფის მთავრობა სახელმწიფო სათათბიროს ბოლშევიკ - დეპუტატებს ბრალს სდებდა „სახელმწიფო ღალატში".

სასამართლოში გამოირკვა სათათბიროს დეპუტატების მოღვაწეობის სურათი, რომელიც სახელს ჰმატებდა ჩვენს პარტიას. ბოლშევიკ-დეპუტატებს მამაცურად ეჭირათ თავი მეფის სასამართლოს წინაშე და გადააქციეს იგი ტრიბუნად ცარიზმის მტაცებლური პოლიტიკის სამხილებლად.

სხვანაირად ეჭირა თავი ამ საქმეზე სამართალში მიცემულ კამენევს. თავისი სილაჩრის გამო იგი პირველივე საშიშროების დროს განუდგა ბოლშევიკური პარტიის პოლიტიკას. კამენევმა სასამართლოში განაცხადა, რომ იგი არ ეთანხმება ბოლშევიკებს ომის საკითხში, და ამის დასამტკიცებლად ითხოვა გამოეწვიათ მოწმედ მენშევიკი იორდანსკი.

ბოლშევიკებმა დიდი მუშაობა ჩაატარეს სამხედრო-სამრეწველო კომიტეტების წინააღმდეგ, რომლებიც მომსახურებას უწევდნენ ომს, მენშევიკების იმ ცდების წინააღმდეგ, რომ მუშები იმპერიალისტური ბურჟუაზიის გავლენისათვის დაემორჩილებინათ. ბურჟუაზია სასიცოცხლოდ იყო დაინტერესებული იმით, რომ იმპერიალისტური ომი ყველასთვის საყოველთაო - სახალხო ომად მოეჩვენებინა. ბურჟუაზიამ ომის დროს მიაღწია დიდ გავლენას სახელმწიფო საქმეებზე, შეჰქმნა რა თავისი სრულიად-რუსეთის ორგანიზაცია — ერობათა და ქალაქთა კავშირები. მას უნდოდა თავისი ხელმძღვანელობისა და გავლენისათვის დაემორჩილებინა მუშებიც. ბურჟუაზიამ ამისათვის მოიგონა საშუალება—„მუშათა ჯგუფების" შექმნა სამხედრო - სამრეწველო კომიტეტებთან. მენშევიკებმა ხელი ჩასჭიდეს ბურჟუაზიის ამ იდეას. ბურჟუაზიისათვის სასარგებლო იყო ჩაება ამ სამხედრო-სამრეწველო კომიტეტებში მუშათა წარმომადგენლები, რომლებიც მუშებს შორის გასწევდნენ აგიტაციას—საჭიროა გავაძლიეროთ შრომის ნაყოფიერება ყუმბარების, ზარბაზნების, თოფების, ვაზნების დამამზადებელ და სხვა ფაბრიკებსა და ქარხნებში, რომლებიც თავდაცვაზე მუშაობენო. „ყველაფერი ომისათვის, ყველაფერი ომს, — ასეთი იყო ბურჟუაზიის ლოზუნგი. ნამდვილად კი ეს ლოზუნგი ნიშნავდა: „რაც შეიძლება ჯიბე გაისქელე სამხედრო დაკვეთების საშუალებით და სხვისი მიწების დაპყრობის წყალობით". მენშევიკებმა ცხოველი მონაწილეობა მიიღეს ბურჟუაზიის მიერ წამოწყებულ ამ ცრუპატრიოტულ საქმეში. ეხმარებოდნენ რა კაპიტალისტებს, ისინი მუშებს შორის გაძლიერებით ეწეოდნენ აგიტაციას—მონაწილეობა მიეღოთ სამხედრო-სამრეწველო კომიტეტებთან „მუშათა ჯგუფების" არჩევნებში. ბოლშევიკები ამ წამოწყების წინააღმდეგი იყვნენ. ისინი მოითხოვდნენ სამხედრო - სამრეწველო კომიტეტებისათვის ბოიკოტის გამოცხადებას და წარმატებით ჩაატარეს ეს ბოიკოტი. მაგრამ მუშების ნაწილმა მაინც მიიღო მონაწილეობა სამხედრო-სამრეწველო კომიტეტების საქმიანობაში ცნობილ მენშევიკ გვოზდევისა და პროვოკატორ აბროსიმოვის ხელმძღვანელობით. ხოლო როცა მუშათა რწმუნებულნი 1915 წლის სექტემბერში შეიკრიბნენ „სამხედრო-სამრეწველო კომიტეტების" მუშათა ჯგუფების საბოლოო არჩევნების მოსახდენად, აღმოჩნდა, რომ რწმუნებულთა უმრავლესობა ამ კომიტეტებში მონაწილეობის წინააღმდეგია. მუშათა წარმომადგენლების უმრავლესობამ გამოიტანა მკაცრი რეზოლუცია სამხედრო-სამრეწველო კომიტეტებში მონაწილეობის წინააღმდეგ და განაცხადა, რომ მუშები ამოცანად ისახავენ იბრძოლონ მშვიდობიანობისათვის, ცარიზმის დამხობისათვის.

ბოლშევიკებმა დიდი მუშაობა გააჩაღეს აგრეთვე არმიასა და ფლოტში. ისინი განუმარტავდნენ ჯარისკაცთა და მეზღვაურთა მასებს, თუ ვინ არის დამნაშავე ომის უმაგალითო საშინელებასა და ხალხის ტანჯვაში, განუმარტავდნენ, რომ რევოლუცია ხალხისათვის ერთადერთი გამოსავალია იმპერიალისტური ხოცვა-ჟლეტიდან. ბოლშევიკები ჰქმნიდნენ უჯრედებს არმიასა და ფლოტში, ფრონტზე და ზურგის ნაწილებში, ავრცელებდნენ ფურცლებს, რომლებშიც მოუწოდებდნენ ომის წინააღმდეგ.

კრონშტადტში ბოლშევიკებმა შეჰქმნეს „კრონშტადტის სამხედრო ორგანიზაციის მთავარი კოლექტივი", რომელიც მჭიდროდ იყო დაკავშირებული პარტიის პეტროგრადის კომიტეტთან. გარნიზონში სამუშაოდ შექმნილი იყო სამხედრო ორგანიზაცია პარტიის პეტროგრადის კომიტეტთან. 1916 წლის აგვისტოში პეტროგრადის ოხრანკის უფროსი მოახსენებდა თავის უფროსებს, რომ „კრონშტადტის კოლექტივში საქმე მეტად სერიოზულად, კონსპირატიულად არის დაყენებული, და მონაწილენი — ყველანი ჩუმი და ფრთხილი ადამიანები არიან. ამ კოლექტივს ნაპირზეც ჰყავს წარმომადგენლებიო".

პარტია ფრონტზე ეწეოდა აგიტაციას მეომარი არმიების ჯარისკაცთა დაძმობილებისათვის, ხაზს უსვამდა, რომ მტერი—ეს მსოფლიო ბურჟუაზიაა და რომ ომის დასრულება შეიძლება მხოლოდ იმით, თუ იმპერიალისტურ ომს სამოქალაქო ომად გადავაქცევთ და იარაღს თავისი საკუთარი ბურჟუაზიისა და მისი მთავრობის წინააღმდეგ მივმართავთო. სულ უფროდაუფრო ხშირად მეორდებოდა შემთხვევები, როცა ჯარის ცალკეული ნაწილები უარს ამბობდნენ გასულიყვნენ შეტევაზე. ასეთ ფაქტებს ადგილი ჰქონდათ უკვე 1915 წელს და განსაკუთრებით 1916 წელს.

ბოლშევიკებმა განსაკუთრებით დიდი მუშაობა გაშალეს ჩრდილოეთის ფრონტის არმიებში, ბალტიისპირა რაიონში. ჩრდილოეთის ფრონტის არმიის მთავარსარდალი გენერალი რუზსკი თავის უფროსებს 1917 წლის დასაწყისში აუწყებდა—ბოლშევიკები ამ ფრონტზე უდიდეს რევოლუციურ მუშაობას ეწევიანო.

ომი უდიდესი გარდატეხა იყო ხალხთა ცხოვრებაში, საერთაშორისო მუშათა კლასის ცხოვრებაში. მან სასწორზე დასდო სახელმწიფოთა ბედი, ხალხთა ბედი, სოციალისტური მოძრაობის ბედი. ამიტომ იგი ამავე დროს იყო სასინჯი ქვა, გამოცდა ყველა პარტიისა და მიმდინარეობისათვის, რომლებიც კი თავის-თავს სოციალისტურს უწოდებდნენ. დარჩებიან თუ არა ეს პარტიები და მიმდინარეობანი სოციალიზმის საქმის, ინტერნაციონალიზმის საქმის ერთგულნი, თუ ამჯობინებენ უღალატონ მუშათა კლასს, დაახვიონ თავისი დროშები და ფეხქვეშ ჩაუგდონ ისინი თავის ნაციონალურ ბურჟუაზიას,—ასე იდგა მაშინ საკითხი.

ომმა გვიჩვენა, რომ II ინტერნაციონალის პარტიებმა ვერ გაუძლეს გამოცდას, უღალატეს მუშათა კლასს და დახარეს თავისი დროშები თავისი, ნაციონალური, იმპერიალისტური ბურჟუაზიის წინაშე.

სხვანაირად ვერც მოიქცეოდნენ ეს პარტიები, რომლებიც თავის წრეში ოპორტუნიზმს ანვითარებდნენ და რომლებიც ოპორტუნისტებისადმი, ნაციონალისტებისადმი დათმობებზე იყვნენ აღზრდილნი.

ომმა გვიჩვენა, რომ ბოლშევიკების პარტია იყო ერთადერთი პარტია, რომელმაც ღირსეულად ჩააბარა ეს გამოცდა და ბოლომდე ერთგული დარჩა სოციალიზმის საქმისა, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის საქმისა.

ეს გასაგებიცაა: მხოლოდ ახალი ტიპის პარტიას, მხოლოდ პარტიას, აღზრდილს ოპორტუნიზმის წინააღმდეგ შეურიგებელი ბრძოლის სულისკვეთებით, მხოლოდ ოპორტუნიზმისა და ნაციონალიზმისაგან თავისუფალ პარტიას—მხოლოდ ასეთ პარტიას შეეძლო გადაეტანა უდიდესი განსაცდელი და დარჩენილიყო მუშათა კლასის საქმის, სოციალიზმისა და ინტერნაციონალიზმის საქმის ერთგული.

ბოლშევიკური პარტია სწორედ ასეთი პარტია იყო.

4. მეფის ჯარების დამარცხება ფრონტზე. სამეურნეო ნგრევა. ცარიზმის კრიზისი.

ომი უკვე სამ წელს სწარმოებდა. ომი იწირავდა მილიონობით ადამიანთ — მოკლულთა, დაჭრილთა, ომით წარმოშობილი ეპიდემიების შედეგად გარდაცვლილთა სიცოცხლეს. ბურჟუაზია და მემამულეები ომის წყალობით ჯიბეებს ისქელებდნენ. მუშები და გლეხები კი სულ უფროდაუფრო მეტ გაჭირვებასა და ტანჯვას განიცდიდნენ. ომი ანგრევდა რუსეთის სახალხო მეურნეობას. დაახლოებით 14 მილიონი ჯანსაღი მუშაკი წაყვანილი იყო არმიაში, მოწყვეტილი იყო მეურნეობას. ფაბრიკები და ქარხნები ჩერდებოდა. შემცირდა მარცვლეულის ნათესი—მუშაკები არ იყო საკმაო. მოსახლეობა და ფრონტზე მყოფი ჯარისკაცები შიმშილობდნენ, ტიტველ-შიშველნი იყვნენ. ომი ნთქავდა ქვეყნის ყველა რესურსს.

მეფის არმია დამარცხებას დამარცხებაზე განიცდიდა. გერმანიის არტილერია მეფის ჯარებს სეტყვასავით უშენდა ყუმბარებს. მეფის არმიას აკლდა ზარბაზნები, აკლდა ყუმბარები, აკლდა შაშხანებიც კი. ზოგჯერ სამ ჯარისკაცზე ერთი შაშხანა მოდიოდა. უკვე ომის დროს გამოაშკარავდა მეფის სამხედრო მინისტრის სუხომლინოვის ღალატი; იგი აღმოჩნდა გერმანელ ჯაშუშებთან დაკავშირებული. სუხომლინოვი ასრულებდა გერმანიის დაზვერვის დავალებას—ჩაეშალა ფრონტის მომარაგება ყუმბარებით, არ მიეცა ფრონტისათვის ზარბაზნები, არ მიეცა შაშხანები. მეფის ზოგიერთი მინისტრები და გენერლები თვითონ ჩუმ-ჩუმად ხელს უწყობდნენ გერმანიის არმიის წარმატებებს: დედოფალთან ერთად, რომელიც გერმანელებთან იყო დაკავშირებული, ისინი სამხედრო საიდუმლოებებს უმხელდნენ გერმანელებს. გასაკვირი არ არის, რომ მეფის არმია დამარცხებას განიცდიდა და იძულებული ხდებოდა უკან დაეხია. 1916 წლისათვის გერმანელებმა უკვე დაიპყრეს პოლონეთი და ბალტიისპირა მხარის ნაწილი.

ყოველივე ეს მუშებში, გლეხებში, ჯარისკაცებში, ინტელიგენციაში იწვევდა სიძულვილსა და გაბოროტებას მეფის მთავრობისადმი, აძლიერებდა და ამწვავებდა ხალხის მასების რევოლუციურ მოძრაობას ომის წინააღმდეგ, ცარიზმის წინააღმდეგ როგორც ზურგში, ისე ფრონტზეც, როგორც ცენტრში, ისე განაპირა მხარეებშიც.

უკმაყოფილება რუსეთის იმპერიალისტურ ბურჟუაზიასაც ედებოდა. მას აბრაზებდა ის გარემოება, რომ მეფის სასახლეში პარპაშობდნენ რასპუტინის მსგავსი არამზადები, რომლებიც აშკარად ატარებდნენ გერმანელებთან სეპარატიული ზავის დადების ხაზს. იგი სულ უფროდაუფრო რწმუნდებოდა, რომ მეფის მთავრობას უნარი არ შესწევს აწარმოოს წარმატებითი ომი. მას ეშინოდა, რომ ცარიზმს, რათა თავისი მდგომარეობა ეხსნა, შეეძლო წასულიყო სეპარატიულ ზავზე გერმანელებთან. ამიტომ რუსეთის ბურჟუაზიამ გადასწყვიტა მოეხდინა სასახლის გადატრიალება იმ ანგარიშით, რომ გადაეყენებინა მეფე ნიკოლოზ II და მის ნაცვლად დაეყენებინა ბურჟუაზიასთან დაკავშირებული მიხეილ რომანოვი. ამით მას უნდოდა ორი კურდღელი დაეჭირა. ჯერ ერთი, დაპატრონებოდა ხელისუფლებას და უზრუნველეყო იმპერიალისტური ომის შემდგომი წარმოება, მეორე—სასახლის პატარა გადატრიალების მოხდენით თავიდან აეცილებინა დიდი სახალხო რევოლუცია, რომლის ტალღები იზრდებოდა.

ამ საქმეში რუსეთის ბურჟუაზიას სავსებით უჭერდნენ მხარს ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობები. ისინი ხედავდნენ, რომ მეფეს უნარი არ შესწევს განაგრძოს ომი. მათ ეშინოდათ, რომ მეფე საქმეს გაათავებდა გერმანელებთან სეპარატიული ზავის დადებით. მეფის მთავრობას რომ სეპარატიული ზავი დაედო, ინგლისის და საფრანგეთის მთავრობები რუსეთის სახით დაჰკარგავდნენ მოკავშირეს ომში, მოკავშირეს, რომელიც არა მარტო აბანდებდა თავის ფრონტებზე მოწინააღმდეგის ძალებს, არამედ ათეული ათასობით რჩეულ რუს ჯარისკაცებსაც ჰგზავნიდა საფრანგეთში. ამიტომ მათ მხარი დაუჭირეს რუსეთის ბურჟუაზიას სასახლის გადატრიალების მოხდენის ცდებში.

მეფე, ამგვარად, იზოლირებული აღმოჩნდა.

მაშინ როცა ფრონტზე დამარცხებები არ სწყდებოდა, სულ უფროდაუფრო იზრდებოდა სამეურნეო ნგრევა. 1917 წლის იანვარ-თებერვლის დღეებში ნგრევამ სურსათისა, ნედლეულისა და სათბობი მასალის დარგში თავის უმაღლეს განვითარებასა და უდიდეს სიმწვავეს მიაღწია. თითქმის შესწყდა პროდუქტების მიტანა პეტროგრადსა და მოსკოვში. საწარმოები ზედიზედ იხურებოდა. საწარმოთა დახურვამ გააძლიერა უმუშევრობა. განსაკუთრებით აუტანელი გახდა მუშების მდგომარეობა. ხალხის სულ უფროდაუფრო ფართო მასები რწმუნდებოდნენ, რომ აუტანელი მდგომარეობიდან მხოლოდ ერთი გამოსავალია—მეფის თვითმპყრობელობის დამხობა.

ცარიზმი აშკარად განიცდიდა სასიკვდილო კრიზისს.

ბურჟუაზია კრიზისის გადაჭრას სასახლის გადატრიალების გზით ლამობდა.

მაგრამ ხალხმა იგი გადასჭრა, ისე, როგორც მას უნდოდა.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

გაიხსნა ხალხური სიმღერისა და ცეკვის რესპუბლიკური ოლიმპიადა

გუშინ, 20 სექტემბერს, საღამოს თბილისის ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსან თეატრში გაიხსნა ხალხური სიმღერისა და ცეკვის მეხუთე რესპუბლიკური ოლიმპიადა. საზეიმოდ მორთული თეატრის დარბაზი მაყურებლებით აივსო. საღამოს 8 საათზე ასწიეს ფარდა და გამოჩნდა შესანიშნავად მორთული სცენა, რომელსაც ამშვენებდა დიდი **სტალინის პორტრეტი** და საქართველოს სხვადასხვა კუთხეების პეიზაჟური დეკორაციები. სცენაზე თავმოყრილი იყვნენ ოლიმპიადის მონაწილე გუნდები და ინდივიდუალური შემსრულებლები.

ორკესტრმა დააგუგუნა „ინტერნაციონალი" და მასთან ერთად პროლეტარულ ჰიმნს მღეროდა ოლიმპიადის ყველა მონაწილე.

ოლიმპიადის გახსნისას სიტყვა წარმოსთქვა ოლიმპიადის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარემ ამხ. **ლ. ესაკიამ.**

ამ საღამოს ოლიმპიადაზე გამოვიდნენ აღმოსავლეთ საქართველოს მომღერალთა გუნდი **სანდრო კავსაძის** ხელმძღვანელობით (გუნდს ლოტბარობდა **დ. კავსაძე**), სენაკის რაიონის მომღერალთა გუნდი **რ. შელეგიას** ხელმძღვანელობით, სამედიცინო ინსტიტუტის (თბილისი) სტუდენტ მომღერალთა გუნდი (ხელმძღვანელები ამხ. ქაჩლიშვილი და გუნია), სახელმწიფო უნივერსიტეტის მეჩონგურე ქალთა გუნდი მ. თედიაშვილის ხელმძღვანელობით, არქიტექტურულ ტექნიკუმთან (თბილისი) არსებული ქართული საკრავების ორკესტრი (ხელმძღვანელი ამხ. **ვაშაკიძე**), სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტთან არსებული გურულ მომღერალთა გუნდი (ხელმძღვანელი ამხ. **კუნჭულია**), პურისმცხობელთა კავშირის გუნდი (თბილისი) ამხ. **კერესელიძის** ხელმძღვანელობით, სახელმწიფო უნივერსიტეტის მოცეკვავეთა ანსამბლი, ცეკვის ინდივიდუალური შემსრულებლები **კაპანაძე, ჩოლოყაშვილი** და **მანჯგალაძე.**

17 სექტემბერს ვოროშილოვის სახ. კლუბში გაიხსნა სიმღერისა და ცეკვის თბილისის კიროვის რაიონის რაიონული ოლიმპიადა.

სურათზე: ლ. ბერიას სახ. კლუბის მეფანდურეები (მარცხნიდან მარჯვნივ) გ. ჩიკვილაძე და ა. გიორგობიანი (სარეწაო კავშირის სატრიკოტაჟო არტელის ოსტატები) ასრულებენ სიმღერას სტალინზე.

ფოტო ჩერკასოვისა („სოიუზფოტოს საქ. განყ.)

ამავე საღამოს დასვენების შემდეგ გამოვიდნენ და ხალხური შემოქმედების ნიმუშები გვიჩვენეს აჭარელ მომღერალთა გუნდმა **ანანიძის** ხელმძღვანელობით, ქობულეთის გუნდმა **ანანიძისა** და **ტაკიძის** ხელმძღვანელობით, აჭარელ ქალთა ანსამბლმა მენიკო **შარაშიძის** ხელმძღვანელობით, ბათუმის სახელმწიფო გუნდმა (ხელმძღვანელი—ამხ. **ერქომაიშვილი**), შემდეგ გამოვიდა სახალხო მომღერალი ამხ. **ბაჯელიძე** და ძველი ხორუმის შემსრულებელთა გუნდი დურსუნ **ჰუნიას** ხელმძღვანელობით (ბათუმის რაიონი), ტყიბულის მაღაროელთა გუნდი **შ. კობახიძის** ხელმძღვანელობით. ტყიბულელი მომღერლები შესცვალეს ასპინძელმა აშუღებმა—ექვთიმე **დავლაბერიძემ** და **ზია მამედოვმა**, რომლებმაც შეასრულეს ხალხური თქმულება შოთა რუსთაველზე. გამოვიდა აგრეთვე თელავის ეთნოგრაფიული გუნდი **შ. ბაბალაშვილის** ხელმძღვანელობით. ამ გუნდის მომღერალმა მარო **ბერძენიშვილმა** ფანდურზე შეასრულა სიმღერა „მეტეხის ციხე". მეწყემსმა გიორგი **ჩანგაშვილმა** დაუკრა სალამური და შეასრულა მთიულური მოტივები. წარმატებით გამოვიდა მახარაძის რაიონის მომღერალთა გუნდი **ვ. სვიმონიშვილის** ხელმძღვანელობით.

ვამღეროთ ვანო სარაჯიშვილი!

1924 წელს გარდაიცვალა რესპუბლიკის სახალხო არტისტი, ქართული ვოკალური კულტურის ერთ-ერთი ფუძემდებელი — მომღერალი ვანო სარაჯიშვილი.

ხელოვნების გარდაცვლილ მოღვაწეთა შორის, თბილისს ახსოვს ორი განსაკუთრებით გრანდიოზული გასვენება — აკაკისა და ვანო სარაჯიშვილის. ეს ნამდვილი საყოველთაო-სახალხო გლოვა იყო. ვანოს გარდაცვალების გამო მთელი საბჭოთა კავშირიდან და ევროპის მრავალი ცენტრიდან მოვიდა სამძიმრის დეპეშები. მისი საფლავი შეამკეს გადატეხილი სალამურით.

○

ვანოს ოვაციებში მოჰყავდა სახელგანთქმული მომღერლები, მწერლები, მსახიობები. თბილისში გასტროლების დროს გამოჩენილმა მომღერალმა კოზლოვსკიმ ვანოს ძეგლი იკითხა. როდესაც გაიგო ძეგლი აგებული არ იყო, მან ძეგლის ასაგებ ფონდში თავისი წვლილი გაიღო. ასევე მოიქცნენ სხვა მსახიობებიც.

ვანოს ძეგლზე პირველ ხანებში მითქმა-მოთქმა და ფუსფუსი იყო. კონკურსიც გამოცხადდა, თითქო რაღაც თანხებიც შეგროვდა, მაგრამ... ახლა არაფერი არა სჩანს.

ვანოზე უნდა დაიწეროს მონოგრაფია, უნდა დაიდგას მისი ძეგლი.

ერთი რამ უსათუოდ ყველაზე მეტად საწყენია. იცის თუ არა რადიოკომიტეტმა, რომ ვანოს საკმაოდ ბევრი ფირფიტი აქვს დამღერებული. ვინ ასრულებს ან შეასრულა იმაზე უკეთ „დავრდომილი სნეული", „ისევ შენ და ისევ შენ", „გენაცვალე", „ჩემი ვარსკვლავი", „როდესაც გიცქერ", და მრავალი სხვა რომანსები და არიები? როდესაც „სიმღერის ოსტატების" ფირფიტებს გადმოსცემენ, რათ უხვევენ გვერდს სიმღერის ამ წარმტაც ჯადოქარს — „საქართველოს ხუჭუჭა ქალების მკვდარ ბულბულს" (გ. ქუჩიშვილის ლექსიდან) ვანოს?

განა, რამდენი ათეული წლები გავიდა მას შემდეგ, რაც ეს საყვარელი ადამიანი საფლავშია, რომ მას ლოდი მივაგოროთ და დავივიწყოთ?

უნდა შეგროვდეს ვანოს ფირფიტები, ხალხმა კვლავ უნდა გაიგონოს ვანოს ტკბილი ხმა. უნდა დაიდგას მისი ძეგლიც.

შალვა კაშმაძე.

ყინულმჭრელ „ი. სტალინის" რეისი

(ყინულმჭრელ „ი. სტალინის" გემბანი, რადიოთი ჩვენი სპეციალური კორესპონდენტისაგან)

18 სექტემბერს, დილის 4 საათზე მოსკოვის დროით, დამთავრდა „მოსსოვეტიდან" ქვანახშირის მიღება. ჩვენი ყინულმჭრელის დიდრონ ბუნკერებში ამჟამად მოთავსებულია თითქმის 50 დღის სამყოფი ქვანახშირი. დილით ადრე ჩვენი ფლაგმანი დაიძრა სამხრეთისაკენ და ყინულის კიდესკენ წაიყვანა გემი „მოსსოვეტი".

ყინულმჭრელი „ი. სტალინი" ყინულებში და ნისლში მტკიცედ მიდის სულ უფრო შორს ჩრდილოეთისაკენ, სადაც ელის შველას ყინულებით შებორკილი ყინულმჭრელი „სედოვი".

მოვიდა ცნობა, რომ „სედოვის" გამოყვანის დასაჩქარებლად ჩვენსკენ მოდის ყინულმჭრელი „ლიტკე", რომელიც ბუქსირზე აიყვანს ავარიაგანცდილ გემს („სედოვს" დაზიანებული აქვს საჭე). ყინულმჭრელი „ი. სტალინი" დაამსხვრევს ყინულის ველებს და წაიყვანს ქარავანს დიდი მიწისაკენ.

გ. თვალაძე

პარტკალენდარი

ლ. კეცხოველის სახელობის პარტგანათლების სახლში
21 სექტემბერს:

ალკკ კაბინეტი—ლექცია თემაზე: გლეხთა ომები და ჩაგრულ ხალხთა აჯანყებები მე-17 საუკუნეში. ლექტორები: ქართულ ენაზე ამხ. ცაგარეიშვილი, რუსულ ენაზე ამხ. ნიკოლაევსკი. დასაწყისი საღამოს 6 საათზე.

○

საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-თან არსებული პარტკონტროლის კომისიის პარტკოლეგია საქართველოში წინადადებას აძლევს ერასტი სიმონის-ძე ბუკიას, დავით ოქროს-ძე ნიბოლაშვილს, იოსებ ივანეს-ძე გულიაშვილს, პავლე თევდორეს-ძე გაბარაევს, მიხეილ ექვთიმეს-ძე ფერაძეს, არტემ გიორგის-ძე კალანდიას, თომა ლუარსაბის-ძე კუპრავას, ვასილ ივანეს-ძე დათუნაშვილს და თამარ მაქსიმეს-ასულ მელიქაძეს სამი დღის ვადაში გამოცხადდნენ პარტკოლეგიაში ამხ. ყვავაძესთან (ძერჟინსკის ქ. № 8, მეორე სართული, ოთახი № 21).

○

საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-თან არსებული პარტკონტროლის კომისიის პარტკოლეგია საქართველოში წინადადებას აძლევს ანა ელეფთერის - ასულ ღვალაძეს სამი დღის ვადაში გამოცხადდეს პარტკოლეგიაში ამხ. ლაშაურთან (ძერჟინსკის ქ. № 8, მეორე სართული).

○

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის კიროვის რაიკომი აცხადებს, რომ მის მიერ გაცემული პარტბილეთები: № 153994 მიხეილ ალექსანდრეს-ძე ანდრიაშვილის სახელზე, № 1501826 — ალექსანდრე ქიშვარდის-ძე ქურიძის სახელზე და № 1538614, ვიქტორ დავითის-ძე ნიმგალაძის სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

◆

ქვანახშირი და მარგანეცი

19 სექტემბრისათვის

(ტ ო ნ ო ბ ი თ)

	გეგმა	გამოღებულია	%%
ტყიბული	845	685	80,3
ტყვარჩელი	667	306	44,13
ჭიათურა	5305	4413	83

პასუხისმგებელი რედაქტორი
ვ. ხატიაშვილი.

საქფილეგთის საზაფხულო თეატრი და ბაღი
პლეხანოვის პროსპ. № 123, ტელ. 3-18-50

21 სექტემბერს მე-2 სერიის ტალონი № 11
უსსრ სახელმწიფო თეატრალიზებული ქალთა საგუნდო ანსამბლის უკანასკნელი გასტროლი
(1936 წელს მოსკოვში ჩატარებული უკრაინის მუსიკისა და სიმღერის დეკადის მონაწ.) მხატვრ. ხელმძღვ. ი. ვ. ტარანჩენკო. ბილეთები იყიდება.
დასაწყისი საღ. 9 ს. 30 წ.

ღია ესტრადა
21—22—23—24 სექტემბერს
სიმღერისა და ცეკვის სრულიად-საქართველოს მე-5
ოლიმპიადის
მონაწილეთა საღამოები
შესვლა ღია ესტრადაზე ბაღის შესასვლელი ბილეთებით.
დასაწყისი საღამოს 9 ს. 30 წ.

თბილისის ცენტრალური ტელეგრაფი
აწარმოებს მოწაფეების მიღებას ტელეგრაფისტების მოსამზადებელ კურსებზე.

მიიღებიან პირნი არანაკლებ შვიდწლედის განათლებით, რუსული და ქართული ენების ცოდნა სავალდებულოა.

მიღებულებს მიეცემათ სტიპენდია 90 მანეთი და კურსის დამთავრების შემდეგ ჩაირიცხებიან შტატში.

საჭიროა შემდეგი საბუთები: 1. განათლების მოწმობა (დედანი).
2. მეტრიკული ამონაწერი.
3. ჯანმრთელობის მოწმობა.

განცხადებები მიიღება ტელეგრაფის კანცელარიაში. სამხედრო ქუჩა № 4, მე-3 სართული, 10-დან 14 საათამდე.
1786
ტელეგრაფის დირექცია

თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის საბჭო
ა ც ხ ა დ ე ბ ს

რომ 6 ოქტომბერს, დღის 2 საათზე, სოც. ჰიგიენის აუდიტორიაში (ლუნაჩარსკის ქ. № 12) სამედიცინო ინსტიტუტის საბჭოს ღია სხდომაზე დაიცავენ დისერტაციას მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად:

1. ექ. გ. გ. მჭედლოვი თემაზე: **„შარდოვანის გავლენა სისხლის ელექტროლიტებზე".**

ოფიც. ოპონენტებად დანიშნული არიან პროფ. **მ. უგრელიძე** და დოც. **აბულაძე.**

2. ექ. **ტერეზა ნიკოლოზის-ას. მაჭავარიანი-კახიანისა** თემაზე: **„ცინკის გავლენა სისხლის შაქრის მაჩვენებლებზე საკვერცხეების ჰორმონალურ ფუნქციასთან დაკავშირებით".**

ოფიც. ოპონენტებად დანიშნული არიან: პროფ. **ვ. ვარაზი** და დოც. **ფაილოძე.**

მსურველებს შეუძლიათ შრომებს გაეცნონ სახ. მედინსტიტუტში საბჭოს სწავლულ მდივან დოც. ვ. ანდღულაძესთან.
1319

რუსთაველის სახელობის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრი
1938-39 წლის სეზონი

21/IX	წარმოდგენა 6 ნაპერწკლიდან
22/IX	წარმოდგენა 7 სულელი
23/IX	წარმოდგენა 8 სულელი

სალარო ღიაა დღის 12 ს. საღამოს 9 საათამდე. დასაწყისი 8 საათზე.

განცხადებების მიღება
გაზეთებში:
„კომუნისტი", „ახალგაზრდა კომუნისტი", „მუშა", „ხორურდაინ ჰაიასტან" და „ენი-ქენდი"
ს წ ა რ მ ო ე ბ ს
დილის 9 საათიდან 2½ ს-მდე
„კომუნისტის" გამომცემლობაში
რუსთაველის პროსპექტი, № 34.

ე ქ ი მ ი
მ. ბ. შახნაზაროვი
ვენერიული და კანის ავადმყოფობანი. დაბრუნდა და იღებს ავადმყოფებს დილის 10-დან 12 ს-მდე, საღამოს 5 ს-დან 8 ს-მდე. მისამართი: კრასნოგორსკის ქ. № 33. სადარბაზო შესასვლელი. 19466

ე ქ ი მ ი
მძინარიშვილი
დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება. ვენერიული, სიფილისი და კანის სნეულებანი, სქესობრივი სისუსტე, (ელექტრონით მკურნალობა), ქალთა და ბავშვთა გონორეია.

ავადმყოფთა მიღება დილის 8—10 საათამდე, საღ. 7—9 ს. ქალებისა და ბავშვებისა საღ. 6—7 საათამდე, გრიბოედოვის ქ. № 20, მე-4 შესავალი, მე-2 სართული, ბინა № 38.
19045

მისამართი: რედაქციის — თბილისი, რუსთაველის პროსპ. № 16, გამომცემლობის — რუსთაველის პროსპექტი № 34; ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის 3—08—67, პ. მგ. მდივნის მოადგილისა 3—06—83, განყოფილებებისა: პარტიულის — 3—57—61, სასოფლო-სამეურნეოს — 3—73—40. მშრომელთა წერილების — 3—73—24, პ-მგ. მორიგის—3—26—67, გამომცემლობის — 3—51—81, სტამბის დირექტორის — 3—27—04, ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ამხ. ს. თოდრიას სახ. სტამბა „კომუნისტი", თბილისი, კამოს ქ., № 68.
მთავლიტის რწმუნებული ბ—254